პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

სამშაბათი 10 ნოემბერი 1942 წ. № 266 (6582) ფასი 15 კაპ.

# ახალი საბრძოლო და შრომითი საგმირო საქმეებისათვის!

ლენინ-სტალინის პარტიის დროშის ქვეშ სსრ კავშირის ხალხთა გმირული ბრძოლის მეოთხედი საუკუნე უკან მოვიტოვეთ. დადგა საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის ახალი, 26-ე წელი.

500 დღეა სწარმოებს საბჭოთა ხალხის სამამულო ომი გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ — 500 დღე, რამაც სამუდამოდ უკვდავჰყო ჩვენი ხალხი, მისი ღვაწლი, მისი სიმტკიცე, მისი მამაცობა და გმირობა. ჩვენი საქმის სიმართლისა და სიმტკიცეში დაჯერებულობის გრძნობით არის აღსავსე ჩვენი გული, ჩვენი ძალისა და ძლიერების შეგნებით ვამაყობთ ჩვენ. დიდმა სოციალისტურმა ინდუსტრიულმა და საკოლმეურნეო სახელმწიფომ—ხალხის ღონისძიებათა ნაყოფმა—გაუძლო გამხეცებული მტრის—გერმანული ფაშიზმისა და მისი პირსისხლიანი თანამონაწილეების უმაგალითო შემოტევას.

საბჭოთა წყობილებამ ჩააბარა ყველა გამოცდა,—ეს არის ყველაზე მკვიდრი, ყველაზე მტკიცე წყობილება მსოფლიოში. ამ დასკვნას ვაკეთებთ არა მარტო ჩვენ, არამედ აკეთებს საზღვარგარეთის ყველა მოწინავე ადამიანიც. ჩვენს მტრებსაც არ შეუძლიათ ანგარიში არ გაუწიონ ამ დასკვნას. მათ თავიანთ მურტალ ტყავზე გამოსცადეს, თუ რა დიდია საბჭოთა ადამიანების სიმტკიცე და გმირობა, საბჭოთა წყობილების სიმკვიდრე.

ომიანობის დღეების ჰექა-ჭუხილსა და ქარიშხალში, გმირულ ბრძოლაში, რამაც მთელი მსოფლიო გააოცა, მოგვიხდა ჩვენ საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის 25 წლის შედეგების შეჯამება. ეს შედეგები შეჯამებულია ამხანაგ სტალინის ისტორიულ მოხსენებაში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXV წლისთავის შესახებ. ოქტომბრის გამარჯვებათა მნიშვნელობა და გრანდიოზულობა საბჭოთა ადამიანებს უწინ, შესაძლოა, არასოდეს არ განუცდიათ, არ უგრძვნიათ ისეთი სიმახვილით, როგორც ახლა, უმძიმესი განსაცდელის ჟამს, რომლის სახელოვნად და ღირსეულად ატანა მხოლოდ ჩვენს ქვეყანას შეეძლო!

კიდევ უფრო მშობლიური, კიდევ უფრო მახლობელი, კიდევ უფრო ძვირფასი გახდა ყველა ჩვენგანისათვის, საბჭოთა კავშირის მშრომელებისათვის, ჩვენი სახელოვანი საბჭოთა სამშობლო! საფრთხემ, რაც ჩვენს სამშობლოს დაემუქრა, ისე გააერთიანა საბჭოთა ქვეყნის მოსახლეობის ყველა ფენა, როგორც არასოდეს არ ყოფილან გაერთიანებული, და დასვა მათ წინაშე საერთო ამოცანა: დაიცვან თავიანთი სამშობლო მტრის შემოსევისაგან.

სადად და დიდებულად იდღესასწაულა ჩვენმა ხალხმა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXV წლისთავი. არასოდეს არ წარიხოცება ჩვენს ხსოვნაში ეს დღეები. ისინი ამაღელვებელი და დაუვიწყარი იყვნენ. ისინი მოგვაგონებდნენ იმ მკაცრ და სასტიკ ბრძოლას, რაც სწარმოებს ბრძოლის ველზე გერმანელ ფაშისტ ყაჩაღებსა და მათ მოკავშირეებთან, რომლებმაც ამოცანად დაისახეს — აიოხრონ და გაძარცვონ საბჭოთა ქვეყანა, გაჟლიტონ საბჭოთა ადამიანები, გადააქციონ ისინი ჰიტლერელ ყაჩაღთა მონებად. სახელოვანი წლისთავის აღსანიშნავად შემდგარ მიტინგებსა და დემონსტრაციებზე საბჭოთა ადამიანებს ჰქონდათ მხოლოდ ერთი ფიქრი—სამშობლო, მხოლოდ ერთი საზრუნავი — ყველა ძალების შემდგომი მობილიზაცია მტრის გასანადგურებლად.

1942 წლის 6 ნოემბერი — ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXV წლისთავის წინადღე. ამ დღეს ჩვენი სამშობლოს გულიდან — მოსკოვიდან, კრემლიდან მთელი მსოფლიოს გასაგონად გაისმა დიდი სტალინის დამშვიდებული და რწმენით აღსავსე ხმა. საბჭოთა ხალხმა კვლავ, ისევე როგორც გასული წლის ოქტომბრის დაუვიწყარ დღეებში, გაიგონა თავისი მასწავლებლის, ბელადისა და მხედართმთავრის ესოდენ მშობლიური, ესოდენ მახლობელი და საყვარელი ხმა. მთელი ქვეყანა კიდით-კიდემდე სულგანაბული უსმენდა და უფიქრდებოდა ამხანაგ სტალინის მოხსენების თითოეულ სიტყვას, მოხსენებისა, რომელიც აღსავსეა ურღვევი რწმენით ჩვენი ხალხისადმი, მისი უნარისადმი გაანადგუროს და დასაჯოს საზიზღარი, სისხლისმსმელი გერმანელი დამპყრობნი.

ამხანაგ სტალინის ისტორიულ მოხსენებაში გამოთქმულია ჩვენი ხალხის ფიქრები და იმედები, ჩვენი დიადი განმათავისუფლებელი ბრძოლის შედეგები და პერსპექტივები. მებრძოლებისა და მეთაურების, მუშების, კოლმეურნეებისა და ინტელიგენციის, ყველა საბჭოთა ადამიანის მამაც, მხურვალე გულში, სადაც უნდა იყვნენ ისინი, ამხანაგ სტალინის მოხსენებამ უცხოველესი გამოხმაურება ჰპოვა, უდიდესი პატრიოტული აღფრთოვანება გამოიწვია. კანონიერი სიამაყის გრძნობით შეხვდა საბჭოთა ხალხი იმ შეფასებას, რომელიც მისცა ამხანაგმა სტალინმა გმირ წითელ არმიას. „მე ვფიქრობ, — სთქვა ამხანაგმა სტალინმა, — რომ ვერც ერთი სხვა ქვეყანა და ვერც ერთი სხვა არმია ვერ შესძლებდა გაეძლო გერმანელ ფაშისტ ავაზაკთა და მათ მოკავშირეთა გამხეცებული ბანდების ასეთ შემოტევისათვის. მარტო ჩვენს საბჭოთა ქვეყანას და მარტო ჩვენს წითელ არმიას შეუძლიათ გაუძლონ ასეთ შემოტევას. და არა მარტო გაუძლონ, არამედ კიდეც დასძლიონ იგი".

ახალი საბრძოლო და შრომითი საგმირო საქმეებისათვის მოგვიწოდებენ ამხანაგ სტალინის მოხსენება და ბრძანება — ასეთი დასკვნა გააკეთეს მებრძოლებმა და მეთაურებმა, საბჭოთა ზურგის მუშაკებმა. გუშინ და დღეს „პრავდა" აქვეყნებს გამოხმაურებებს ამხანაგ სტალინის მოხსენების გამო, გამოხმაურებას, რაც ჩვენი ქვეყნის ყოველი კუთხიდან მოდის. სანგრებში მოწინავე ხაზზე, ბლინდაჟებში, საკომანდო პუნქტებში—ყველგან უდიდესი ყურადღებით ისმენდნენ ამხანაგ სტალინის მოხსენებას. ამხ. ილიჩენკოსა და ჟდანოვის ქვეგანაყოფთა არტილერისტები, მეთაურ ტომინის ქვეითები, მეთაურ ანტონოვის მეკავშირენი — ასობით მეომარი ბელადის მოხსენებას ჩვენი თავდაცვის თვით წინა კიდესთან ისმენდნენ. მოხსენების დამთავრებისთანავე გაიმართა მოკლე მიტინგები. გამოვიდა რა თავისი ამხანაგების წინაშე, წითელარმიელმა ჩუპინმა სთქვა:

— დიდი სტალინის მოხსენებამ ჩვენ ახალი ძალ-ღონე შეგვმატა. ფიცს ვდებ, რომ კიდევ უფრო ძლიერად, კიდევ უფრო ულმობლად ვიბრძოლებ მტრის წინააღმდეგ. ჩვენ გავანადგურებთ წყეულ ფაშისტებს! გაუმარჯოს ჩვენს დიდ სტალინს!

— ჩაიფუშა ჰიტლერული გეგმა ჩვენი სამშობლოს დამონებისა,—განაცხადა თავის გამოსვლაში წარჩინებულმა არტილერისტმა ამხანაგმა ილიჩენკომ. — ეს ძალიან მკაფიოდ სთქვა თავის მოხსენებაში დიდმა სტალინმა. მაშ შევფიცოთ, ამხანაგებო, ჩვენს სტალინს, რომ კიდევ უფრო ულმობლად ვიბრძოლებთ მტრის წინააღმდეგ. მოვსპობთ ჰიტლერულ ჯარებს. დაე გერმანელმა ბანდიტებმა თავიანთი ბილწი სისხლით აგონ პასუხი ყველა საშინელი ბოროტმოქმედებისათვის! დავიცვათ ოქტომბრის დიადი მონაპოვარი!

„უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენს ქვეყანას ასეთი მტკიცე და ორგანიზებული ზურგი ჯერ კიდევ არასოდეს არა ჰქონია",—განაცხადა თავის მოხსენებაში ამხანაგმა სტალინმა. ეს სიტყვები გულსა და სულში ჩასწვდა მუშებსა და კოლმეურნეებს. ამ სიტყვებში მოცემულია საბჭოთა ზურგის მუშაკების მუშაობის შეფასებაც, მოწოდებაც — ვიმუშაოთ კიდევ უკეთესად, უფრო ორგანიზებულად, უფრო თავდადებულად, რათა წითელმა არმიამ შესძლოს უფრო სწრაფად შეასრულოს მის წინაშე დასმული ამოცანები. რკინიგზელები, ნავთის მრეწველობის მუშაკები, მაღაროელები, მეიარაღეები, მეტალურგები, ტანკმშენებლები, თვითმფრინავმშენებლები, კოლმეურნეები — ზურგის ყველა მუშაკი, ამხანაგ სტალინის მოხსენებით აღფრთოვანებული, თავის მოკლე, მაგრამ მკაფიო სიტყვებში ფიცს სდებენ ძალისა და ენერგიის დაუზოგავად იმუშაონ მეომრულად, ყველაფერი გაიღონ ფრონტისათვის, გამარჯვებისათვის. ტულის მშრომელთა მიტინგზე გამოვიდა იარაღის ქარხნის სტახანოველი დაზგის მუშა გლაფირა რუჰოვა. მან განაცხადა:

—ჩვენმა საყვარელმა ბელადმა და მასწავლებელმა ამხანაგმა სტალინმა თავის ბრძნულ მოხსენებაში გამოხატა მთელი საბჭოთა ხალხის ფიქრები და იმედები. ჩვენი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ მოვსპოთ ჰიტლერული სახელმწიფო და მისი ხელმძღვანელები, მოვსპოთ ჰიტლერული არმია და მისი ხელმძღვანელები, დავანგრიოთ საძულველი „ახალი წესრიგი ევროპაში" და დავსაჯოთ მისი მშენებლები. ამ ამოცანების გადასაწყვეტად იმუშავებს მშობლიური წითელი არმია, მთელი საბჭოთა ხალხი. ძალებისა და სიცოცხლის დაუზოგავად.

ტულის მუშები დაეხმარებიან წითელ არმიას იმ ამოცანების შესრულებაში, რომლებიც ამხანაგმა სტალინმა დასახა. ჩვენს სამოქალაქო მოვალეობად ვთვლით გავადიდოთ საჭურვლისა და საომარი მასალის გამოშვება, გავაძლიეროთ ფრონტისადმი დახმარება.

მტერზე გამარჯვება იჭედება არა მარტო ფრონტზე, არამედ ზურგშიც. საბჭოთა ადამიანებს მშვენივრად ესმით ეს. „მეჩეკინეულის" № 7 შახტის მაღაროელთა მიტინგზე გამოსულმა მაღაროელმა ამხ. ავრილკოვამ განაცხადა:

— მოსკოვის ახლოს მდებარე შახტების მაღაროელებმა კარგად იციან, რომ გერმანელ ყაჩაღების ბრძოლის ფრონტის ხაზი გადის აგრეთვე ლავებსა და სანგრევებთან. ჩვენი ფრონტისპირა ბაისინი დღითიდღე სულ უფრო და უფრო მეტ ქვანახშირს იძლევა. მშობლიური ამხანაგი სტალინი მოუწოდებდა საბჭოთა კავშირის ხალხებს გააძლიერონ დახმარება ფრონტისადმი, წითელი არმიისადმი, მოაახლოონ ჰიტლერელ ბანდიტთა განადგურების ჟამი.

ჩვენი ქვეყნის კოლმეურნეთა ამოცანები ძალიან კარგად გამოხატა კოლმეურნე კრაშუნოვამ. მან განაცხადა:

— მე ასე გავიგე სტალინის ნათქვამი: თუ მე დღეს ნორმას ან ნორმანახევარს ვასრულებ, ხვალ ორი და სამი ნორმაც უნდა მივცე. მე, ყველა თქვენგანს, ფრონტზე გვყავს ნათესავები: შვილები, ქმრები, ძმები. დავეხმაროთ მათ, ჩვენს მტრედებს. რაც მეტს ვიმუშავებთ ზურგში, მით უფრო მალე დაბრუნდებიან ისინი ფრონტიდან. მაშინ, როგორც ამხანაგმა სტალინმა სთქვა, ჩვენს ქუჩაშიც იქნება დიდი დღესასწაული...

თავის მოხსენებაში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXV წლისთავის შესახებ ამხანაგი სტალინი მრისხანედ ლაპარაკობდა ჰიტლერელ ყაჩაღთა მხეცობასა და დანაშაულობაზე. უდანაშაულო, უიარაღო ადამიანების ხოცვა, წამება, აბუჩად აგდება კანონად იქცა ჰიტლერელი ჯარისკაცებისა და ოფიცრების, ამ დაბალი ადამიანებისა და საზიზღრებისათვის, რომელთაც დაუკარგავთ პატიოსნება და პირუტყვის მდგომარეობამდე დაცემულან.

საბჭოთა ხალხმა იცის ჰიტლერელი ოკუპანტების ბოროტმოქმედებათა ამბავი. წმიდა მრისხანებით და სიძულვილით არის აღსავსე საბჭოთა ადამიანების სიტყვები მიტინგებზე, რომლებიც მოუწოდებენ წითელი არმიის მებრძოლებს ულმობლად ანადგურონ მტერი, რომელმაც ხელი აღმართა ჩვენი სამშობლოს წინააღმდეგ, საბჭოთა ადამიანების, თავისუფლების წინააღმდეგ.

ჩვენი სამართლიანი საქმის გამარჯვებისადმი უფრო მეტ რწმენას გვინერგავს თავდაცვის სახალხო კომისრის — ამხანაგ სტალინის მოხსენება და ბრძანება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXV წლისთავის შესახებ. რა სიძნელეებიც უნდა მოგველოდეს, რა სასტიკი ბრძოლებიც უნდა მოგველოდეს, — ჩვენი ხალხი მზად არის გადალახოს ყოველი სიძნელე და გაიღოს ყოველნაირი მსხვერპლი, რათა ერთხელ და სამუდამოდ დაამარცხოს ჰიტლერული გერმანია და დაიცვას ოქტომბრის დიდი მონაპოვარი.

საბჭოთა ხალხი სამართლიან, განმათავისუფლებელ ომს ეწევა. ამ ომში გაერთიანდა ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხი. საბჭოთა კავშირს, მის შეიარაღებულ ძალებს გადააქვთ ჯერჯერობით ომის მთავარი სიმძიმე. მაგრამ შორს არ არის ის დრო, როცა ჰიტლერიზმთან საბრძოლველად გაერთიანებული ყველა ხალხი მთელი თავისი ძალით თავს დაატყდება მტერს და გაანადგურებს მას ბრძოლის ველზე.

მთელი ჩვენი ქვეყანა ისმენდა ამხანაგ სტალინის მოხსენებას, და ყოველი საბჭოთა ადამიანი გრძნობდა ახალი ძალების, ახალი ენერგიის მოზღვავებას. დიახ, ჭეშმარიტად, არ შეიძლება არ ანადგურონ მტერი—

„ხალხმა, ბელადში
დარწმუნებულმა,
და ბელადმა, ხალხში
დარწმუნებულმა!"

ლენინ-სტალინის დიადი დროშით საბჭოთა ხალხი მტკიცედ მიემართება ახალი საბრძოლო და შრომითი საგმირო საქმეებისაკენ, გამარჯვებისაკენ!

**„პრავდის" მოწინავე, 9/XI.**

# ამხანაგ სტალინს

**ჩვენო მშობლიურო ამხანაგო სტალინ!**

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXV წლისთავის დღეს მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საბჭოს საზეიმო სხდომა პარტიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად — მოსკოვის მშრომელებისა და წითელი არმიის მეომრების მოსკოვის გარნიზონის ნაწილთა სახელით—მგზნებარე, გულითად სალამს გითვლის თქვენ.

საბჭოთა კავშირის ხალხები დიდი ოქტომბრის XXV წლისთავს ხვდებიან შეუპოვარი და სისხლისმღვრელი ბრძოლის ვითარებაში ჰიტლერელთა ურდოების წინააღმდეგ, რომლებიც ყაჩაღურ დაპყრობებს ეწევიან, სჩადიან საშინელ მკვლელობას, ძარცვა-გლეჯასა და ძალადობას ჩვენს წმიდა საბჭოთა მიწა-წყალზე.

გასულმა წელმა დაგვანახვა, რომ საბჭოთა კავშირმა გაუძლო ჰიტლერული საომარი მანქანის ახალ გაცოფებულ შემოტევას. ჩვენი ძალები ფრონტზე და ზურგში უფრო ორგანიზებულნი, დისციპლინიანნი გახდნენ, ისინი უკეთესად დაეუფლნენ ტექნიკას ბრძოლასა და წარმოებაში. მუშები, გლეხები, საბჭოთა ინტელიგენცია კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმნენ ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო, საყვარელი ბელადის, მასწავლებლისა და მხედართმთავრის—ამხანაგ სტალინის გარშემო.

თექვსმეტნახევარი თვის განმავლობაში ჩვენი ქვეყანა მარტო იგერიებს გერმანელ ფაშისტთა ჯარებისა და ჰიტლერელთა ვასალების ძირითადი ძალების შემოტევას. ვერც ერთი სხვა სახელმწიფო, ვერც ერთი სხვა არმია ვერ გაუძლებდა ისეთ უმძიმეს განსაცდელს, როგორსაც გაუძლეს ჩვენმა ქვეყანამ, ჩვენმა წითელმა არმიამ.

ჩვენს სამშობლოს შეუძლია ასეთი მძლავრი წინააღმდეგობა გაუწიოს მტერს სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის ლენინურ-სტალინური შორსმჭვრეტელური პოლიტიკის მეოხებით. თქვენი ბრძნული, გამჭრიახი მითითებებით თავის დროზე შეიქმნა ახალი მეტალურგიული და ქვანახშირის ბაზები და მანქანათმშენებლობის ახალი კერები აღმოსავლეთში. ამან შესაძლებლობა მოგვცა, მიუხედავად მნიშვნელოვანი ტერიტორიების დაკარგვისა, წარმატებით განგვეხორციელებინა ისტორიაში უმაგალითო გადატანა საწარმოებისა მტრის მიერ დროებით დაპყრობილ და ფრონტისპირა რაიონებიდან, შეგვენარჩუნებინა და განგვევითარებინა ჩვენი სამხედრო მრეწველობა, ჩაგვეფუშა მტრის ყველა გეგმა და ვარაუდი. ომის პირობებში საბჭოთა ხალხი აშენებს ახალ მნიშვნელოვან საწარმოებს და უმაგალითო ტემპებით შეჰყავს ისინი მწყობრში. საკოლმეურნეო წყობილების მძლავრმა ძალამ, კოლმეურნე გლეხობის შრომითმა გმირობამ, მის მიერ თავის ვალდებულებათა პატიოსნად და კეთილსინდისიერად შესრულებამ საშუალება მოგვცეს მოგვემარაგებინა წითელი არმია და ჩვენი ქვეყანა საჭირო სურსათით და ნედლეულით მრეწველობისათვის.

ერთი წლის წინათ გერმანელთა ურდოები მოსკოვისაკენ მოისწრაფოდნენ, რათა, რადაც უნდა დასჯდომოდათ, ხელთ ეგდოთ ჩვენი მშობლიური დედაქალაქი. მოსკოვის მშრომელნი ფიცს გაძლევდნენ მაშინ თქვენ, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, სიცოცხლის დაუზოგავად დაეცვათ ჩვენი სახელოვანი დედაქალაქი — მოსკოვი გერმანელ დამპყრობთაგან. მოსკოვი შემოსალტული იყო მტკიცე თავდაცვითი ზღუდეებით. გერმანელთა ჯარები განადგურებულ იქნენ წითელი არმიის მიერ მოსკოვთან და უკუგდებულ იქნენ დასავლეთისაკენ.

დღეს მოსკოვის მშრომელნი, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, ფიცს გაძლევენ თქვენ, ჩვენო საყვარელო მამავ და ბელადო, დაძაბონ მთელი ძალ-ღონე და გამოიყენონ ყოველი შესაძლებლობა, რათა გააფართოონ და გაადიდონ წარმოება ფრონტის საჭიროებათათვის, დაამყარონ ყველგან და ყოველ ადგილზე უსასტიკესი დისციპლინა, წესრიგი და ეკონომია, რათა ფრონტმა მიიღოს ყოველივე, რაც მას ესაჭიროება ისტორიული ამოცანის შესასრულებლად — მტრის უკუსაგდებად და გასანადგურებლად.

ჩვენმა ხალხმა შეითვისა უდიდესი მეცნიერება სიძულვილისა საზიზღარი, სისხლისმსმელი გერმანელი ოკუპანტებისადმი და ახლა მთელი სულითა და გულით სძულს ისინი მხეცური, არაადამიანური დანაშაულობისათვის, საყოველთაო ძარცვისათვის. უდიდესი სიყვარული სამშობლოსადმი, წმიდა სიძულვილი მტრისადმი აღაფრთოვანებს საბჭოთა ადამიანებს საგმირო საქმეებისათვის, მიჰყავს ისინი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში სიცოცხლისათვის, მტერზე გამარჯვებისათვის!

ჩვენ ვიცით, რომ დიდია საფრთხე, რომელიც თავს დასტრიალებს სამშობლოს, ჩვენ ვიცით, რომ საჭიროა ხალხის მთელი ძალების შემდგომი მობილიზაცია. მტრის ძალები სრულიადაც ის აღარ არის, რაც ომის დასაწყისში იყო, მაგრამ მათ კიდევ შეუძლიათ დარტყმების მოხდენა ცალკეული მიმართულებებით. თავისი გმირული ბრძოლით ჰიტლერული იმპერიალიზმის წინააღმდეგ საბჭოთა კავშირმა მოამზადა პირობები ჰიტლერელებისა და ევროპაში მათი თანამონაწილეების საერთო გასანადგურებლად.

ჩვენი ძალები, ჩვენი საბრძოლო გამოცდილება ზრდას განაგრძობენ. თქვენი ბრძნული ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხი დაიცავს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მონაპოვართ, გაამართლებს მთელი მოწინავე და პროგრესიული კაცობრიობის იმედებს!

კაცობრიობის ისტორიას დღემდე არ ახსოვს ისეთი მასობრივი გმირობა, ისეთი სიმტკიცე, მამაცობა და გულადობა, ისეთი მგზნებარე სიყვარული სამშობლოსადმი, როგორიც საბჭოთა ხალხმა გამოიჩინა დიდ სამამულო ომში ჰიტლერული იმპერიალიზმის წინააღმდეგ. საბჭოთა ადამიანის ეს შესანიშნავი თვისებები, რომლებითაც აღტაცებულია მთელი მოწინავე კაცობრიობა, ჩანერგილია ლენინისა და სტალინის მიერ.

ყველა სიძნელისა და განსაცდელის გადალახვით, ლენინ-სტალინის სახელოვანი საბრძოლო დროშით — საბჭოთა კავშირი მტკიცედ მიდის გერმანელ დამპყრობებზე გამარჯვებისაკენ.

გაუმარჯოს ჩვენს სახელოვან სამშობლოს, მის თავისუფლებას, მის დამოუკიდებლობას!

გაუმარჯოს სსრ კავშირის ხალხთა საბრძოლო მეგობრობას!

გაუმარჯოს ჩვენს მშობლიურ წითელ არმიასა და წითელ ფლოტს!

გაუმარჯოს წითელი არმიისა და ხალხის დიდ ბელადს — ამხანაგ სტალინს!

# ახალი საბრძოლო და შრომითი საგმირო საქმეებისათვის მოგვიწოდებენ ამხანაგ სტალინის მოხსენება და ბრძანება

## გამარჯვების ურყევი რწმენით, ერთსულოვანი აღფრთოვანებით

8 ნოემბერს, საღამოს 5 საათზე სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანაში შესდგა მიტინგი თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის —ამხანაგ ი. ბ. სტალინის მიერ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXV წლისთავის გამო გაკეთებული მოხსენების და აგრეთვე თავდაცვის სახალხო კომისრის 1942 წლის 7 ნოემბრის ბრძანების შინაარსის გასაცნობად.

მიტინგი გახსნა ამხ. ნ. ლოლაძემ. პარტიული კომიტეტის მდივანმა ამხ. ი. ნეფარიძემ წაიკითხა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგ ი. სტალინის მოხსენებისა და თავდაცვის სახალხო კომისრის ამხ. ი. სტალინის ბრძანების ტექსტი.

სიტყვა აიღო მექვაბეთა საკომპლექსო ბრიგადის უფროსმა ამხ. ი. სელიხოვმა. მან განაცხადა, რომ უკვე რამდენჯერმე წაიკითხა დიდი ბელადის—ამხანაგ სტალინის ეს მოხსენება და ყოველთვის ახალსა და ახალს აზრებს პოულობს იქ. ამხ. სელიხოვმა მთელი ბრიგადის სახელით იკისრა, რომ მისი ბრიგადა ნოემბრის ბოლოსათვის წლიურ გეგმას შეასრულებს არა ნაკლებ 120 პროცენტისა.

ტრიბუნაზე გამოვიდა სამონტაჟო საამქროს წარჩინებული ორასოვანი, კომკავშირელი ამხ. ა. ზაზროევი. მან ილაპარაკა ამხ. ბერუაშვილის კომკავშირული ბრიგადის წევრთა სახელით და განაცხადა, რომ ბრიგადის წევრებმა ერთსულოვნად გადაწყვიტეს, ამიერიდან საწარმოო დავალებები შეასრულონ ნაცვლად 300-350 პროცენტისა, არა ნაკლებ, ვიდრე 500 პროცენტით.

ელმავალთა საამქროდან მიტინგზე სიტყვით გამოსულმა სტახანოველმა ამხ. ვ. ბეჟუაშვილმა აღნიშნა, რომ საამქროს მუშებმა მტკიცედ გადაწყვიტეს ამიერიდან კიდევ უფრო თავდადებით იმუშაონ ფრონტის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, ყოველმხრივ შეუწყონ ხელი ჩვენი ზურგის შემდგომ განმტკიცებას და გააკეთონ ყველაფერი ჩვენი ხალხის ორგანიზებულობის შემდგომი განმტკიცებისათვის. ამასთან დაკავშირებით საამქროს მუშებმა იკისრეს უახლოეს ორ დღეში დაამთავრონ წლიური საწარმოო გეგმის შესრულება.

მიტინგზე ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის მთელი კოლექტივი შრომითი ენტუზიაზმის ახალი აღმავლობით, მტერზე გამარჯვების ურყევი რწმენით და ერთსულოვანი აღფრთოვანებით შეხვდა დიდი ბელადის—ამხანაგ სტალინის მოხსენებას.

## სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლუბში 8 ნოემბერს შესდგა პროფესორ-მასწავლებელთა, სტუდენტთა და მუშა-მოსამსახურეთა მიტინგი, მიძღვნილი თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის—ამხანაგ ი. სტალინის მოხსენებისადმი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXV წლისთავის შესახებ.

ამხანაგ ი. ბ. სტალინის ისტორიული მოხსენება და 7 ნოემბრის ბრძანება მიტინგს გააცნო ამხ. ნ. ჭახრაკიამ. სიტყვები წარმოთქვეს პროფ. ქომეთიანმა, აკად. გ. ხაჭაპურიძემ, გ. ძოწენიძემ და სტუდენტმა ახვლედიანმა. მათ აღნიშნეს, რომ ბელადის ბრძნული მოხსენება საბრძოლო პროგრამაა ფრონტისა და ზურგის ყველა მებრძოლისა და მუშაკისათვის. იგი კიდევ უფრო გვიძლიერებს ღრმა რწმენას ჩვენი სამართლიანი საქმის გამარჯვებაში და გვერაზმავს ახალი საგმირო საქმეებისათვის. თითოეული საბჭოთა მოქალაქის ვალია გააძლიეროს თავისი მუშაობა ბელადის მოხსენებაში დასახულ ამოცანათა წარმატებით განსახორციელებლად.

ერთხმად იქნა მიღებული რეზოლუცია. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები და მუშა-მოსამსახურენი პირობას სდებენ, რომ მთელ ძალ-ღონეს მოახმარენ ვერაგი მტრის—გერმანელი ფაშისტი ოკუპანტების სრული განადგურების საქმეს.

## მეცნიერების მთელი ძლიერება მტრის გასანადგურებლად

8 ნოემბერს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კონფერენციდარბაზში მიტინგზე შეიკრიბნენ აკადემიაში შემავალ სამეცნიერო დაწესებულებათა მუშაკები—აკადემიკოსები, პროფესორები, აკადემიის მუშა-მოსამსახურეები, რათა გასცნობოდნენ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგ ი. ბ. სტალინის მიერ მოსკოვის საბჭოს და ქ. მოსკოვის პარტიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა საზეიმო სხდომაზე 1942 წლის 6 ნოემბერს გაკეთებული მოხსენების შინაარსს და თავდაცვის სახალხო კომისრის ამხანაგ ი. ბ. სტალინის 7 ნოემბრის ბრძანებას.

მიტინგი გახსნა მეცნიერებათა აკადემიის პარტორგანიზაციის მდივანმა ამხ. ა. მდივანიშვილმა.

მიტინგზე სიტყვები წარმოსთქვეს აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა აკად. ს. ჯანაშიამ, აკადემიკოსებმა—გ. ახვლედიანმა და ა. ჩიქობავამ და პროფ. ე. დონდუამ. მათ განაცხადეს, რომ გაათკეცებული ენერგიით იმუშავებენ, რათა ხელი შეუწყონ დიადი მიზნის განხორციელებას—ჰიტლერელთა ურდოების სრულ განადგურებას და საბჭოთა ხალხის სამართლიანი საქმის გამარჯვებას.

მიტინგზე ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია: მთელ ჩვენ ძალებს, მეცნიერების მთელ ძლიერებას მივმართავთ ჰიტლერული გერმანიის — კულტურისა და მეცნიერების ამ უბოროტესი მტრის გასანადგურებლად.

## გავაძლიეროთ ფრონტისადმი დახმარება

თბილისის საორთქლმავლო დეპოს კლუბში 8 ნოემბერს, მუშაობის დამთავრების შემდეგ მოწვეულ მიტინგზე 400-ზე მეტმა კაცმა მოიყარა თავი.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორჯ. ლენინის რაიკომის მდივანმა ამხ. გეტაშვილმა მიტინგის მონაწილეებს წაუკითხა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის—ამხანაგ ი. სტალინის მოხსენება მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საბჭოს და ქ. მოსკოვის პარტიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა 1942 წ. 6 ნოემბრის საზეიმო სხდომაზე. მიტინგი დიდი ყურადღებით გაეცნო აგრეთვე თავდაცვის სახალხო კომისრის ამხანაგ სტალინის 7 ნოემბრის ბრძანებას.

ამ ორმა ახალმა ისტორიულმა დოკუმენტმა დეპოს მუშაკთა შორის უდიდესი აღფრთოვანება გამოიწვია.

მიტინგზე სიტყვით გამოვიდა ცნობილი ლუნინელი მემანქანე ორდენოსანი ნ. ყიფიანი.

— ჩვენი დეპოს კოლექტივი,—განაცხადა ამხ. ყიფიანმა,—დიდი ბელადის მოხსენებას და ბრძანებას კიდევ უფრო მეტი თავდადებული შრომით უპასუხებს, რათა ჩვენმა ტრანსპორტმა ყოველგვარ პირობებში მზარდი დახმარება გაუწიოს თავის ღვიძლ ძმას გმირ წითელ არმიას ვერაგი მტრის განადგურების საქმეში.

დეპოს ორდენოსანმა ბრიგადირმა შ. ხიზანაშვილმა დიდი სტალინის მოხსენებისა და ბრძანების პასუხად იკისრა ყოველთვიურად გეგმის გადამეტებით შეკეთებიდან გამოუშვას 5 ორთქლმავალი და 5 საათით შეამციროს თითოეული ორთქლმავლის დგომა.

მემანქანე ნ. ცხენისანიძემ მიტინგზე მთელ კოლექტივს მოუწოდა მეტი დაძაბული მუშაობისაკენ და ახალი საწარმოო გამარჯვებებისაკენ.

— თბილისის საორთქლმავლო დეპოს კოლექტივი,—ნათქვამია მიტინგის მიერ მიღებულ რეზოლუციაში,—კისრულობს ორთქლმავლების საშუალო და აწევითი რემონტის წლიური გეგმა შეასრულოს 15 დეკემბრისათვის, საგამრეცხაო შეკეთებაში ნორმასთან შედარებით 1 საათით შეამციროს ორთქლმავლების გაცდენა, ნორმასთან შედარებით 2 საათით გაზარდოს ორთქლმავალთა ტექნიკური სიჩქარე, ნორმასთან შედარებით 5 პროცენტით დაზოგოს სათბობი და წლის ბოლომდე დამოუკიდებელ სამუშაოზე გადასაყვანად მოამზადოს 60 ქალი.

## მწერალთა და ხელოვნების მუშაკთა შორის

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის კლუბში 8 ნოემბერს შესდგა მწერალთა და ხელოვნების საქართველოს მუშაკთა მიტინგი, მიძღვნილი თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგ ი. ბ. სტალინის მოხსენებისადმი მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საბჭოს და ქ. მოსკოვის პარტიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა 1942 წლის 6 ნოემბრის საზეიმო სხდომაზე.

მიტინგი გახსნა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პარტორგანიზაციის მდივანმა ამხ. ს. ეულმა.

სიტყვებით გამოსული მწერლები და ხელოვნების მუშაკები ლაპარაკობდნენ ბელადის მოხსენების დიად შთამაგონებელ ძალაზე.

მწერალმა ვ. წულუკიძემ აღნიშნა, რომ ამხანაგმა სტალინმა თავის ისტორიულ მოხსენებაში გენიალური ანალიზი მოგვცა იმისა, თუ რატომ არის გარდუვალი ჰიტლერელი ვანდალების აღსასრული. ჩვენთან არის მთელი პროგრესიული კაცობრიობა. გმირი წითელი არმიის დარტყმებთან ერთად ადრე თუ გვიან ფაშიზმი იგემებს მეორე ფრონტის გამანადგურებელ ძალას.

თავის სიტყვაში ამხ. ე. [illegible] აღნიშნა, რომ მწერლებმა და ხელოვნების მუშაკებმა დიდი სტალინის მოხსენების საპასუხოდ საჭიროა უფრო მეტად გაშალონ მუშაობა, რათა მხატვრული სიტყვა თითოეულ მებრძოლში აძლიერებდეს ენტუზიაზმს, პატრიოტულ თავდადებას.

ბელადის მოხსენებასთან დაკავშირებით მწერალთა და ხელოვნების მუშაკთა მუშაობის კიდევ უფრო გასაუმჯობესებლად მიტინგმა მიიღო სათანადო რეზოლუცია.

## აჭარის მშრომელთა გამოხმაურება

აჭარის საწარმოებში, ტრანსპორტზე, დაწესებულებებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, უდიდესი პატრიოტული აღმავლობით ტარდება მიტინგები, მიძღვნილი დიდი მხედართმთავრის ამხანაგ სტალინის ისტორიული მოხსენებისა და ბრძანებისადმი.

ბათუმის სტალინის სახელობის ნავთსახდელი ქარხნის მუშათა მიტინგზე საამქროს უფროსმა ინჟინერმა ჩახუნაშვილმა განაცხადა: დიდი სტალინის ბრძნული სიტყვები ახალი საბრძოლო საქმეებისაკენ მოგვიწოდებენ. კიდევ უფრო გავაძლიერებთ დახმარებას ფრონტისადმი, მეტი ენერგიით ვიბრძოლებთ შრომის ნაყოფიერების შემდგომი აღმავლობისათვის, სამშობლოს თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებისათვის.

მიტინგები ჩატარდა აგრეთვე რკინიგზის კვანძზე, ნავსადგურში, მანქანათმშენებლობის, მომთუთიებელ, ფანერისა და ტყავეულობის ქარხნებში.

**ვ. ანთაძე**

# მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საბჭოს საზეიმო სხდომა, მიძღვნილი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXV წლისთავის დღესასწაულისადმი

6 ნოემბერს საღამოს მოსკოვში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში კრემლში, შესდგა მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საბჭოს, პარტიულ, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა, სტახანოველთა, დამკვრელთა და საბჭოთა ინტელიგენციის საზეიმო სხდომა, მიძღვნილი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXV წლისთავის დღესასწაულისადმი.

სხდომის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე გაივსო კრემლის სასახლის უდიდესი ნათელი დარბაზი. კრებას დაესწრო სამი ათასამდე კაცი.

საღამოს 7 საათზე კრების პრეზიდიუმში გამოჩნდნენ ამხანაგი სტალინი, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები. დარბაზი ფეხზე ამდგარი მხურვალე ხანგრძლივი ტაშით მიესალმება მათ. სხვადასხვა კუთხიდან გაისმის შეძახილები: „გაუმარჯოს ჩვენს ბელადს დიდ სტალინს!", „ვაშა დიდ სტალინს!"—მქუხარე ოვაცია დიდხანს არა ცხრება. იგი გამოხატავს საბჭოთა ხალხის მხურვალე სიყვარულს თავისი საყვარელი ბელადის, მძლავრი სოციალისტური ინდუსტრიული და საკოლმეურნეო სახელმწიფოს დიდი მშენებლის, წითელი არმიის მხედართმთავრის, საბჭოთა სახელმწიფოს თავდაცვის ორგანიზატორისა და ხელმძღვანელისადმი. დიდხანს ფეხზე დგანან ათასობით ადამიანები და თვალს არ აშორებენ ტრიბუნას, სადაც თავის თანამებრძოლთა შორის იმყოფება ამხანაგი სტალინი. ხალხი მიესალმება ამხანაგ სტალინს. ამხანაგი სტალინი ტაშით უპასუხებს, მიესალმება რა მოსკოვის წარმომადგენელთა სახით მთელ მრავალმილიონიან, მრავალეროვან საბჭოთა კავშირს, გმირ წითელ არმიას, გმირ სამხედრო-საზღვაო ფლოტს.

პრეზიდიუმში ადგილებს იკავებენ ამხანაგები სტალინი, მოლოტოვი, ვოროშილოვი, კალინინი, ანდრეევი, მიქოიანი, ბერია, შვერნიკი, მალენკოვი, შჩერბაკოვი, ვოზნესენსკი, პრონინი, პოპოვი, ჩერნოუსოვი. ლოჟებში არიან საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები, სახალხო კომისრები, მოსკოვის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელები.

მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის ქალაქის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხანაგი პრონინი საზეიმო სხდომას გახსნილად აცხადებს.

მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივნის პოპოვის წინადადებით ირჩევენ საპატიო პრეზიდიუმს.

— ამხანაგი სტალინი...

მქუხარე ოვაციისაგან ზანზარებს დარბაზის კედლები. ყველანი ფეხზე დგებიან. გაისმის მთელი დარბაზის შეძახილი: „გაუმარჯოს ამხანაგ სტალინს!"

მქუხარე ტაშით ეგებებიან ამხანაგების მოლოტოვის, ვოროშილოვის, კაგანოვიჩის, კალინინის, ანდრეევის, მიქოიანის, ჟდანოვის, ხრუშჩოვის, ბერიას, შვერნიკის, მალენკოვის, შჩერბაკოვის, ვოზნესენსკის დასახელებას.

ამხანაგი პრონინი აცხადებს:

—სიტყვა მოხსენებისათვის დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXV წლისთავის შესახებ ეძლევა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს ამხანაგ სტალინს.

ამხანაგი სტალინი მიემართება ტრიბუნისაკენ, ჰქუხს ოვაცია, რაც დიდხანს არა ცხრება. დარბაზი დიდხანს და მხურვალედ უკრავს ტაშს. კრების მონაწილენი ფეხზე ამდგარნი მიესალმებიან ბელადს.

ამხანაგი სტალინი იწყებს მოხსენებას. ჩამოვარდება ღრმა სიჩუმე. დინჯად, მტკიცედ, დარწმუნებით გაისმის ყოველი სიტყვა. გასული წლის ძირითადი ამბების ღრმა ანალიზი და ჩვენი შემდგომი ბრძოლისა და მომავალი გამარჯვების დიადი პერსპექტივა სჩანს ამ სიტყვებში.

ამხანაგი სტალინი თავის ბრწყინვალე მოხსენებას იმით ამთავრებს, რომ დიდებას უძღვნის წითელ არმიას, სამხედრო-საზღვაო ფლოტს, პარტიზან ქალებსა და კაცებს.

ამხანაგ სტალინის მოხსენებით აღფრთოვანებული ერთიანი აღტყინებით ფეხზე დგება მთელი დარბაზი. კვლავ ჰქუხს ოვაცია და მისასალმებელი შეძახილები. კრების ყველა მონაწილე გამსჭვალულია უდიდესი აღფრთოვანებით. მტკიცე და ურყევია მათი რწმენა გამარჯვებისადმი.

და იმავე ძალით ახლდება ბელადისადმი სიყვარულის დემონსტრაცია, როდესაც საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტის მდივანი ამხანაგი ჩერნოუსოვი აქვეყნებს ამხანაგ სტალინისადმი მისალმების ტექსტს.

ამხანაგი პრონინი საზეიმო სხდომას დახურულად აცხადებს. კრების მონაწილენი ხანგრძლივი ტაშით მიაცილებენ ამხანაგ სტალინს და მის თანამებრძოლთ.

## თბილისი

### საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი—ამხანაგ ჩარკვიანს
### საქ. სსრ სახკომსაბჭო—ამხანაგ ბაქრაძეს

უზბეკეთის კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი და უზბეკეთის სს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო გიცხადებენ ღრმა სამძიმარს ალექსი ნიკოლოზის-ძე საჯაიას საბრძოლო პოსტზე სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპვის გამო.

**უზბეკეთის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე აბდურახმანოვი**
**უზბეკეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი იუსუპოვი**

## თავდაცვის სახალხო კომისარიატში

გერმანელ დამპყრობლებთან, სამშობლოსათვის ბრძოლებში მამაცობის გამოჩენისათვის, სიმტკიცისა, გულადობისა, დისციპლინისა და ორგანიზებულობისათვის, პირადი შემადგენლობის გმირობისათვის 193-ე საზენიტო საარტილერიო პოლკი გარდაქმნილია გვარდიის 72-ე საზენიტო საარტილერიო პოლკად.

პოლკის მეთაური-პოლკოვნიკი მიხეილ გურონტის-ძე კიკნაძე.

გარდაქმნილ პოლკს ეძლევა გვარდიის დროშა.

# საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

## 9 ნოემბრის დილის ცნობა

[illegible]

...ნელი ჯარისკაცი და ოფიცერი გასწყვიტეს.

* * *

ნალჩიკის სამხრეთ-აღმოსავლეთით ტანკისტებმა ამხ. ფილიპოვის მეთაურობით მოიგერიეს მტრის რამდენიმე იერიში. სამი დღის ბრძოლების განმავლობაში ამ უბანზე გაწყვეტილია მტრის ერთ ბატალიონამდე ქვეითი ჯარი და წამოღებულია გერმანელთა რამდენ- [illegible]

...იუგოსლავიელ პარტიზანთა რაზმებმა გაანადგურეს მტრის ერთი პოლკი ქვეითი ჯარი. პოლკის შტაბი ტყვედ არის წაყვანილი. ქალაქ კარლოვაცის მახლობლად პარტიზანებმა ოკუპანტები განდევნეს ერთი გამაგრებული პუნქტიდან. ამ ბრძოლაში იტალიელებმა 600-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგეს მოკლულთა და დაჭრილთა სახით.

## 9 ნოემბრის საღამოს ცნობა

9 ნოემბრის განმავლობაში ჩვენი ჯარები უწარმოებდნენ ბრძოლებს მტერთან სტალინგრადის რაიონში, ტუაფსეს ჩრდილო-აღმოსავლეთით და ნალჩიკის სამხრეთ-აღმოსავლეთით. სხვა ფრონტებზე არავითარი ცვლილება არ მომხდარა.

ჩვენმა ხომალდებმა შავ ზღვაში ჩასძირეს მტრის ტრანსპორტი 3.000 ტონა წყალწყვისა.

* * *

8 ნოემბრის განმავლობაში ჩვენმა ავიაციამ ფრონტის სხვადასხვა უბნებზე მოსპო გერმანელთა 5 ტანკი, 30-მდე ავტომანქანა, დაამსხვრია სარკინიგზო ეშელონი, ჩააქრო ორი საარტილერიო ბატარეის ცეცხლი, გაჰფანტა და ნაწილობრივ მოსპო მტრის ერთ ასეულამდე ქვეითი ჯარი და ერთი ესკადრონი ცხენოსანი ჯარი.

* * *

სტალინგრადის რაიონში ჩვენი ჯარები იგერიებდნენ მტრის მცირე ჯგუფების იერიშებს და ამაგრებდნენ თავიანთ პოზიციებს. 6 შენაერთის უბანზე, ქალაქის საქარხნო ნაწილში, გერმანელებმა მოკლულთა სახით დაჰკარგეს 200-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი. საარტილერიო და სანაღმსტყორცნო ცეცხლით დანგრეულია მტრის 2 ბლინდაჟი, მოსპობილია 2 ქვემეხი და გაფანტულია ერთ ასეულამდე ქვეითი ჯარი. სხვა უბნებზე დღის განმავლობაში ჩვენმა მებრძოლებმა მოსპეს 100-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, 2 ტანკი, 4 ქვემეხი, 10 ტყვიამფრქვევი, 9 ნაღმსატყორცნი და 40-მდე ავტომანქანა. საბჭოთა მფრინავებმა საჰაერო ბრძოლებში ჩამოაგდეს გერმანელთა 3 თვითმფრინავი.

* * *

ნალჩიკის სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩვენი ჯარები აქტიურ საბრძოლო მოქმედებას განაგრძობდნენ და დიდი ზარალი მიაყენეს მტერს. N ნაწილის მებრძოლებმა მოსპეს გერმანელთა 6 ტანკი და 400-მდე ჰიტლერელი. სხვა უბანზე ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხების ჩვენმა ქვეგანაყოფმა დააზიანა გერმანელთა 8 ტანკი, ამ რიცხვიდან მტრის 3 ტანკი მოსპო მემიზნემ ამხ. ფიჩხინაშვილმა.

ჩვენმა მფრინავებმა საჰაერო ბრძოლებში ჩამოაგდეს მტრის 3 თვითმფრინავი და დააზიანეს 3 თვითმფრინავი.

* * *

ტუაფსეს ჩრდილო-აღმოსავლეთით გერმანელთა ორმა ბატალიონმა ქვეითმა ჯარმა სამჯერ მოიტანა იერიში ჩვენს დასაყრდენ პუნქტებზე ერთი წყლის ზღუდის რაიონში. ჰიტლერელთა იერიშები მოგერიებულია. ბრძოლის ველზე დარჩა მტრის 150-მდე გვამი.

* * *

მოზდოკის რაიონში მტერმა სცადა იერიში მოეტანა ჩვენს პოზიციებზე, მაგრამ 160 ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგა მოკლულთა სახით და პირვანდელ ზღუდეებზე დაიხია. ამავე უბანზე განადგურებულია გერმანელთა ნაწილის საკომანდო პუნქტი. წამოყვანილია ტყვეები.

* * *

ვორონეჟის რაიონში N ნაწილის არტილერიის ცეცხლით დანგრეულია მტრის 23 ძელმიწური საცეცხლე წერტი და ბლინდაჟი, მოსპობილია 2 სანაღმმტყორცნო ბატარეა, 22 ტყვიამფრქვევი და ჩახშობილია მოწინააღმდეგის 7 საარტილერიო და სანაღმმტყორცნო ბატარეის ცეცხლი. ერთი შენაერთის სნაიპერებმა 128 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი გასწყვიტეს.

* * *

ვიტებსკის ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედი პარტიზანული რაზმი ოქტომბრის ბოლოს გაადუთრებულ ბრძოლებს ეწეოდა მტრის სადამსჯელო რაზმთან. გერმანელებმა პარტიზანთა წინააღმდეგ გამოიყვანეს დიდძალი ქვეითი ჯარი ტანკებიანად და ჯავშანმანქანებიანად. პარტიზანებმა ჩაშალეს ჰიტლერელთა გეგმები. საბჭოთა პატრიოტები მტერს მოულოდნელად ურტყამდნენ და 400-ზე მეტი გერმანელი ფაშისტი დამპყრობი გასწყვიტეს.

* * *

ნადავლ დოკუმენტთა შორის წამოღებულია გერმანელთა პირველ სატანკო არმიასთან მყოფ საიდუმლო საველე პოლიციის მდივნის ფრიდრიხ შმიდტის ცოლის რამდენიმე წერილი. ეს გერმანელი მხეცი რეკლინგჰაუზენიდან თავის ქმარს სწერდა: „ნომერ 159, 160 და 161 ამანათები მივიღეთ... ყოველგვარი ნივთები, აგრეთვე პროდუქტები, განსაკუთრებით ხორცი და ერბო-კარაქი, აქ ახლა ძალიან დასაფასებელია... გოგონები მეტად გახარებული არიან ფეხსაცმლის მოღებით. რამდენადაც თქვენ უკვე, შენ იშოვნე ფქვილი, ერბო-კარაქი და ყოველგვარი ნივთები გამოგვიგზავნე".

ჰიტლერელმა ბანდიტმა შმიდტმა ძალით მშვიდობიანი საბჭოთა მოქალაქე აწამა და გაძარცვა. თავის მორიგ მსხვერპლს რომ გაუსწორდა, მაროდიორი ფოსტაში მიიჩქაროდა, რათა მის მიერ მოკლული ქალებისა და ბავშვების ტანსაცმელი ამანათად გაეგზავნა. იგი არაფერს არ თაკილობდა და ყოველ თავის ამანათს ნომრავდა. თავის ბოროტმოქმედებათათვის ამ ფაშისტმა არამზადამ საბჭოთა ტყვია მიიღო. დადგება ჟამი დანარჩენი გერმანელი ყაჩაღებისაც, რომლებსაც იგივე ბედი ეწევათ.

* * *

მიღებულია ცნობა ცნობილი ნორვეგიელი პატრიოტ ლარსენის პარტიზანული რაზმის მოქმედების შესახებ. ოქტომბერში რაზმმა გასწყვიტა 150-მდე ჰიტლერელი ჯარისკაცი და მოსპო გერმანელთა 6 სატვირთო მანქანა. ფინეთ-ნორვეგიის საზღვრის რაიონში ლარსენის პარტიზანები ღამით უეცრად დაესხნენ თავს გერმანელებს. პარტიზანებმა ყაზარმის ფანჯრებში გრანატების კონები შეუტყორცნეს. გადარჩენილმა ჰიტლერელებმა გაქცევა სცადეს, მაგრამ მოსპობილ იქნენ თოფისა და ტყვიამფრქვევის ცეცხლით.

## დარბაზობა სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ამხანაგ ა. ი. ვიშინსკისთან

ამა წლის 7 ნოემბერს, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXV წლისთავის გამო, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილემ ამხანაგმა ა. ი. ვიშინსკიმ დარბაზობა გამართა დიპლომატიური კორპუსისათვის ქალაქ კუიბიშევში.

დარბაზობას დაესწრნენ დიპლომატიური კორპუსი, უცხოელი კორესპონდენტები, აგრეთვე საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის, თავდაცვის სახალხო კომისარიატის, სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახალხო კომისარიატის, საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის პასუხისმგებელი თანამშრომლები, ადგილობრივი ხელისუფლებისა და საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

## სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საიუბილეო სესია

სვერდლოვსკი, 9 ნოემბერი (საკდესი). 15 ნოემბერს სვერდლოვსკში შეიკრიბება სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საიუბილეო სესია, მიძღვნილი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXV წლისთავისადმი. სესიაზე მოსმენილი იქნება მთელი რიგი მოხსენებანი მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის განვითარების შესახებ.

## ამხანაგ სტალინის მოხსენება 10 მილიონ ცალად

გამოვიდა სახპოლიტგამის ბროშურა: „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXV წლისთავი" (თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის—ამხანაგ ი. ბ. სტალინის მოხსენება მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საბჭოს და ქალაქ მოსკოვის პარტიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა 1942 წლის 6 ნოემბრის საზეიმო სხდომაზე). ბროშურაში დაბეჭდილია აგრეთვე თავდაცვის სახალხო კომისრის 1942 წლის 7 ნოემბრის ბრძანება № 345.

ბროშურა გამოცემულია 10 მილიონ ცალად.

(საკდესი).

## მისასალმებელი დეპეშები დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXV წლისთავის დღესასწაულის გამო

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXV წლისთავის გამო მიღებულია მისასალმებელი დეპეშები ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის პირად წარმომადგენელ ბ-ნ ჰარიმანისაგან, ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო მინისტრ ბ-ნ სტიმსონისაგან, ინგლის-ამერიკის კორესპონდენტთა ასოციაციისაგან სსრ კავშირში, თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ბ-ნ მენემენჯიოღლუსაგან, იუგოსლავიის მეფის პეტრე II-საგან და იუგოსლავიის საგარეო საქმეთა მინისტრ ბ-ნ ნინჩიჩისაგან.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXV წლისთავის გამო მიღებულია მისასალმებელი დეპეშები მებრძოლი საფრანგეთის ნაციონალური კომიტეტის თავმჯდომარის გენერალ დე გოლისაგან; ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტ დოქტორ ედუარდ ბენეშისაგან; ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრ ბ-ნ იან მასარიკისაგან; ნორვეგიის მეფე ჰოკონისაგან; ნორვეგიის საგარეო საქმეთა მინისტრ ბ-ნ ტრიუგველისაგან; ჰოლანდიის დედოფალ ვილჰელმინასაგან; ტუვის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრ ჩიმბასაგან; ირანის საგარეო საქმეთა მინისტრ ბ-ნ მოჰამედ საედისაგან. (საკდესი).

## გეგმების შესრულება

წინასაოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის შედეგად აბაშის რაიონის კოლმეურნეობებმა მოსავლის აღება 7 ნოემბრისათვის დაამთავრეს. სიმინდის მოსავალი აღებულია 11.000 ჰექტარზე, ღომი—2.400-ზე, პარკოსანი—506 ჰექტარზე. შესრულებულია—მტს-ისათვის ნატურსაზღაურის გატანის გეგმები.

საქ. კ. პ. (ბ) აბაშის რაიკომის მდივანი ღარჯანია

რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ბოკერია

ჩოხატაური („კომუნისტის" კორ.). ჩოხატაურის რაიონმა ოქტომბრის რევოლუციის XXV წლისთავთან დაკავშირებით განსაკუთრებით გააძლიერა მუშაობა და 7 ნოემბრისთვის სახელმწიფოსათვის თამბაქოს ჩაბარების წლიური გეგმა მთლიანად შეასრულა. ვალდებულებების შესრულების მხრივ მოწინავეთა რიგებში არიან სოფ. შუაგანახლების ბერიას სახელობის (თავმჯდომარე შ. ჯიბლაძე), გორაბერეჟოულის მოლოტოვის სახელობის (თავმჯდომარე ა. დოლიძე) და სხვა კოლმეურნეობები.

ლ. ლოლაძე

# უცხოელ პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეთა მისალმებანი საბჭოთა კავშირისადმი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXV წლისთავთან დაკავშირებით

### თურქეთის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ბ-ნ სარაჯოღლუს დეპეშა სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ი. ბ. სტალინისადმი

ოქტომბრის რევოლუციის წლისთავის გამო სიამოვნება მაქვს თურქეთის მთავრობისა და აგრეთვე პირადად ჩემი უღრმესად გულწრფელი მოლოცვით მოგმართოთ თქვენ, ბატონო თავმჯდომარევ. გთხოვთ მიიღოთ ჩემი საუკეთესო სურვილები ბედნიერებისა მეგობარი კავშირისათვის.

შუქრუ სარაჯოღლუ

### პოლონეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრ გენ. სიკორსკის დეპეშა სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ი. ბ. სტალინისადმი

საბჭოთა კავშირის დაარსების XXV წლისთავის დღესასწაულის დღეს, საბჭოთა კავშირისა, რომელიც თქვენი ხელმძღვანელობითა და სარდლობით ძლევამოსილად იბრძვის გერმანელ ბარბაროსთა შემოსევის წინააღმდეგ, ჩემს მხურვალე სურვილებს გიძღვნით თქვენ, ბატონო პრემიერო.

ამ სურვილებს პოლონეთის მთავრობისა და პოლონეთის შეიარაღებული ძალების სახელით ვუთვლი აგრეთვე საბჭოთა კავშირის საუცხოო შეიარაღებულ ძალებს, რომლებმაც მთელი ღრმა აღტაცება გამოიწვიეს თავიანთი შეუდრეკელობით სამშობლოს დაცვაში.

ღრმად იმედი მაქვს, რომ ჩვენს შორის დადებულ შეთანხმებათა შინაარსისა და აზრის შესაბამისად საერთო მტრის წინააღმდეგ ამ ლანდელ ერთობლივ ბრძოლაში წარმოიშვება პოლონეთისა და საბჭოთა კავშირის ხანგრძლივი მეგობრობა და კეთილმეზობლური თანამშრომლობა.

სიკორსკი

### ირანის პრემიერ-მინისტრ ბ-ნ ახმედ გავამის დეპეშა სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ი. ბ. სტალინისადმი

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ნაციონალური დღესასწაულის XXV წლისთავის გამო ჰეშმარიტი კმაყოფილებით ვუძღვნი თქვენს აღმატებულებას ჩემს უმხურვალეს მილოცვას, აგრეთვე გულწრფელად ვისურვებ თქვენი აღმატებულების პირად ბედნიერებას და დიდი მეგობარი და მოკავშირე საბჭოთა ერის ბედნიერებას.

ახმედ გავამი

### ამერიკის შეერთებული შტატები

#### უენდელ უილკი

მთელი მსოფლიოს ასეულ მილიონობით ქალი და კაცი აღნიშნავს დღეს საბჭოთა კავშირის დაარსების XXV წლისთავს. ვისარგებლებ რა იმის შესაძლებლობით, რომ თქვენი ქვეყანა მენახა სულ მხოლოდ ამ რამდენიმე კვირის წინათ და უშუალოდ გავცნობოდი იმ საუცხოო ბრძოლას, რომელსაც თქვენ ეწევით, მე შემიძლია ამჟამად, როდესაც თქვენ სათანადოთ გაფასებთ მთელი მსოფლიო, ჯეროვნად შევაფასო ის, რასაც თქვენ აკეთებთ. თუმცა სულ რამდენიმე დღე გავატარე თქვენთან, მაგრამ თქვენი ქვეყანა დავტოვე უაღრესად აღტაცებულმა რუსი ხალხის სულით, მამაცობითა და თავდადებით და იმ მრავალი მილიონებისადმი უდიდესი პატივისცემით აღვსილმა, რომლებსაც თქვენ შედარებით მოკლე ხანში—მეოთხედ საუკუნეში მიაღწიეთ. მე მოვახსენე ამერიკელ ხალხს, რაც ვნახე. მე ვუამბე მას თქვენი უდიდესი საწარმოებისა და კულტურული განვითარების შესახებ. მე არ მომიხდა მეთქვა მისთვის თქვენი გამოწრთობილი გულის შესახებ, ვინაიდან სტალინგრადის მამაცმა დამცველებმა თავიანთი საგმირო საქმეებით უკვე შეჰქმნეს ამის შესახებ საგა, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში იცოცხლებს, მაგრამ მე ველაპარაკე ამერიკელ ხალხს, რომ საჭიროა გადაწყვეტილივ გადიდეს ამერიკიდან თქვენს საბრძოლო ფრონტებზე მომავალი მასალების ნაკადი და რომ საჭიროა გადაუდებლად შეიქმნას მეორე ფრონტი ევროპაში. ამჟამად გატყობინებთ თქვენ, რომ ყველგან, სადაც მე ჩემი დაბრუნების შემდეგ ვიყავი, ამერიკელებს შორის ვხედავდი არა მარტო მზადყოფნას, არამედ დიდ სურვილსაც შეასრულონ თავიანთი როლი და გაიღონ ყოველგვარი მსხვერპლი. ჩვენ ამ ბრძოლაში მონაწილეობას ვიღებთ თქვენთან ერთად, ჩვენ, ამერიკელები, უკვე ვხვდებით, თუ რას ნიშნავს ეს, და მზადა ვართ თქვენთან ერთად ვიბრძოლოთ ბოლომდე, სანამ პირისაგან მიწისა არ აღიგვება ფაშიზმის უკანასკნელი კვალი.

* * *

მისალმებანი გამოგზავნეს აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის სპეციალურმა თანაშემწემ ჰარი ჰოპკინსმა, ამერიკელმა მწერლებმა ერსკინ კოლდუელმა, ეპტონ სინკლერმა და ტეოდორ დრაიზერმა, რკინიგზელთა დამოუკიდებელი პროფკავშირის თავმჯდომარემ უიტნიმ, მწერალმა ქალმა პერლ ბაკმა, მასაჩუზეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის რექტორმა კომპტონმა, ოჰაიოს შტატის პროტესტანტმა ეპისკოპოსმა ჰობსონმა, პოლარული მკვლევარმა სტეფანსონმა.

### საფრანგეთი

#### მებრძოლი საფრანგეთის საგარეო საქმეთა ნაციონალური კომისარი რენე პლევენი

16 თვის გაადუთრებული ბრძოლის შემდეგ სტალინგრადის ეპიკური თავდაცვა ახალ ბრწყინვალე თავს ამბეჭდავს რუსეთის ისტორიის სახელოვან ანალებში. მებრძოლი საფრანგეთი მონაწილეობს საერთო ბრძოლაში. მებრძოლი საფრანგეთის შეიარაღებულ ძალთა მფრინავები, მეზღვაურები და ჯარისკაცები იარაღით ხელში იბრძვიან იმ დროს, როცა მათი თანამოძმენი საფრანგეთში, სადაც ჯამბურობა ბატონობს, სიცოცხლეს არზოგავენ და უარს ამბობენ წავიდნენ ქარხნებში, რომლებიც ამზადებენ ჰიტლერისათვის საჭირო იარაღს საბჭოთა ქვეყნის წინააღმდეგ საბრძოლველად. ფრანგი ხალხისა და სსრ კავშირის ხალხის სოლიდარობა, საერთო განსაცდელში გამოჭედილი, იმის შემდეგაც იარსებებს, რათა შესაძლებელი იყოს სამუდამოდ მოეღოს ბოლო გერმანიის აგრესიას და შეიქმნას სამართლიანი და მტკიცე მშვიდობიანობა.

სსრ კავშირის მოქალაქენო! მებრძოლი საფრანგეთი გიერთდებათ თქვენ გამარჯვების მთელი თავისი ნებისყოფით თქვენი სახელმწიფო დღესასწაულის 7 ნოემბრის დღეს.

საბჭოთა კავშირისადმი მისალმებანი, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXV წლისთავთან დაკავშირებით გამოგზავნეს აგრეთვე ნორვეგიის პრემიერ-მინისტრმა ნიუგორდსვოლდმა, ბელგიის საგარეო საქმეთა მინისტრმა სპაკმა, ჰოლანდიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვან კლეფენსმა, ლუქსემბურგის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჟოზეფ ბეშმა, მექსიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა პადილიამ, კუბის საგარეო საქმეთა მინისტრმა ხოზე აგუსტინ მარტინესმა, თეირანის პრესის უმაღლესმა საბჭომ, ლათინური ამერიკის მუშათა კონფედერაციის პრეზიდენტმა ლომბარდო ტოლედანომ, ავსტრალიელმა მწერალმა ქალმა კატარინა სუსანა პრიჩარდმა, მექსიკის მუშათა კონფედერაციის გენერალურმა მდივანმა ფიდელიო ველასკესმა, ჰაიტის პრეზიდენტმა ლესკომ, გვატემალის პრეზიდენტმა ხორხე უბიკომ, მექსიკის პრეზიდენტმა ავილა კამაჩომ, ბოლივიის პრეზიდენტმა პენიარანდამ, მწერლებმა ტომას მანმა და ლიონ ფეიხტვანგერმა, კანადის პრემიერ-მინისტრმა მაკენზი კინგმა და სხვ.

მოსკოვი, კრემლი,

### იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

საბჭოთა რესპუბლიკის XXV წლისთავის დღეს ჩვენი სამღვდელოებისა და რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ყველა მორწმუნეთა, ჩვენი სამშობლოს ერთგულ შვილთა სახელით, თქვენ სახით სულითა და გულით ვუძღვნით ლოცვით მივესალმებით ჩვენი სამხედრო და კულტურული ძალების ღვთივრჩეულ ბელადს, რომელსაც მიგვყავართ ბარბაროსთა შემოსევაზე გამარჯვებისაკენ, ჩვენი ქვეყნის მშვიდობიანი აყვავებისა და მის ხალხთა ბრწყინვალე მომავლისაკენ. აკურთხოს უფალმა წარმატებითა და დიდებით თქვენი დიდი ღვაწლი სამშობლოსათვის.

პატრიარქის მოსაყდრე, მიტროპოლიტი მოსკოვისა და კოლომნისა სერგი

მოსკოვი, კრემლი,

### იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

მორწმუნე უკრაინელი ხალხი, რომელიც დიდად იტანჯება გერმანელ ყაჩაღთა ფეხქვეშ, აღდგომას დღესავით მოელის თავის განთავისუფლებას და დაბრუნებას მშვიდობიან და ბედნიერ ცხოვრებაზე, რომელიც მტერმა დაანგრია. კარგად ვიცი რა ჩემი უკრაინელი სამწყსოს ეს ნატვრა, გთხოვთ თქვენ საბჭოთა სახელმწიფოს XXV წლისთავის დღეს მიიღოთ ჩემგან და უკრაინის მორწმუნეთაგან ჩვენი მხურვალე ლოცვა და სურვილი, რომ უზენაესმა მოგანიჭოს თქვენ ჯანმრთელობა მრავალსა წელსა, ხოლო ჩვენს ძვირფას სამშობლოს თქვენი წინამძღოლობით—ადრე და მალე გაწმენდა გერმანელი სიბილწისაგან. მთელ ჩვენ ქვეყანასთან ერთად ჩვენ გვწამს, რომ, მოიშორებს რა მტერს, ჩვენი წმიდა მიწა-წყალი მალე კვლავ აყვავდება, ვით მაყვლოვანი უწვავი.

კიევისა და გალიციის მიტროპოლიტი ნიკოლოზი

### საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის კალისტრატეს დეპეშა

მოსკოვი, კრემლი,

### იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

საბჭოთა ხელისუფლების XXV წლისთავის დღეს მთელი საკათოლიკოსოს მორწმუნეებთან და კულტის მსახურებთან ერთად სულითა და გულით გილოცავთ თქვენ ღირსშესანიშნავ დღეს და შევთხოვ მას, რომელსაც აქვს ძლიერება და მფლობელობა, განაგრძოს დღენი სიცოცხლისა თქვენისა მრავალსა წელსა, დაიცვას თქვენი სულიერი და ხორციელი ძლიერება, მოგანიჭოთ ადრე და მალე ხილვა ვერაგი მტრის ხერხემლის შემუსრვისა და განწმენდა მისგან ჩვენი დიდი სამშობლოს წმიდა საზღვრებისა.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე

თბილისი, 1942 წლის 5 ნოემბერი.

### თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტ ბ-ნ ისმეთ ინენიუს დეპეშა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ი. კალინინისადმი

სიამოვნებით ვსარგებლობ ოქტომბრის რევოლუციის წლისთავით, რათა ჩემი გულწრფელი მოლოცვით მოგმართოთ თქვენ, ბატონო თავმჯდომარევ, და ბედნიერება ვუსურვო მეგობარი საბჭოთა კავშირის ხალხებს.

ისმეთ ინენიუ

### პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტ ბ-ნ რაჩკევიჩის დეპეშა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ი. კალინინისადმი

ნაციონალური დღესასწაულის და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის XXV წლისთავის ზეიმის დღეს გთხოვთ თქვენ, ბატონო თავმჯდომარევ, მიიღოთ უღრმესად მხურვალე სურვილი თქვენი ქვეყნისათვის ბედნიერი მომავლისა, აგრეთვე გამარჯვებისა საბჭოთა გმირი არმიებისათვის მათ ბრძოლაში ჩვენი საერთო მტრის წინააღმდეგ.

ვლადისლავ რაჩკევიჩი

### ნორვეგიის მეფის ჰოკონის დეპეშა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ი. კალინინისადმი

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის XXV წლისთავის გამო უგულწრფელეს სურვილებს ვუთვლი თქვენს დიადსა და მამაც ერს. ურყევი მამაცობა, რომლითაც თქვენი სამშობლო ეწინააღმდეგება ტლანქ და ბარბაროსს აგრესორს, ნორვეგიელი ხალხის დიდ აღტაცებას იწვევს.

ჰოკონი

### ავღანისტანის მეფის მოჰამედ ზაჰირის დეპეშა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ი. კალინინისადმი

სსრ კავშირის ნაციონალური დღესასწაულის გამო ბედნიერება მაქვს ჩემი მხურვალე მოლოცვით მივმართო თქვენს აღმატებულებას და გულწრფელად ვისურვო თქვენი ქვეყნის სიდიადე და აყვავება.

მოჰამედ ზაჰირი

### დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ბ-ნ ანტონი იდენის დეპეშა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარ ვ. მ. მოლოტოვისადმი

პატივი მაქვს გთხოვოთ გადასცეთ საბჭოთა მთავრობას მისი უდიდებულესობის მთავრობის უგულითბილესი და უწრფელესი მილოცვა საბჭოთა ნაციონალური დღესასწაულის XXV წლისთავის გამო.

ეს წლისთავი ემთხვევა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის წინააღმდეგ გერმანიის მიერ ყოველი მიზეზის გარეშე დაწყებული აგრესიის მეჩვიდმეტე თვეს. ჩვიდმეტი თვის განმავლობაში საბჭოთა ხალხი მამაცურ და დიდებულ წინააღმდეგობას უწევს ჰიტლერისა და მისი სატელიტების სასტიკ თავდასხმასა და მხეცობას. საბჭოთა შეიარაღებული ძალებისა და პარტიზანების საგმირო საქმენი, საბჭოთა სამოქალაქო მოსახლეობის შრომა და ტანჯვა თავისი სამშობლოს დაცვის საქმეში სამარადისოდ შევა ისტორიაში. იმ ხნის განმავლობაში, რაც შარშანდელი წლისთავის შემდგომ გავიდა, ჩვენ და საბჭოთა ხალხი მოკავშირენი გავხდით ოცი წლით.

ამ კავშირის სულისკვეთებით ვმუშაობთ და ვიბრძვით ჩვენ იმ დღის დადგომისათვის, როცა გაერთიანებული ერები განდევნიან მტაცებელ მტერს მის მიერ დამონებული ყველა ტერიტორიიდან, ღისეულიან იმათ, ვისაც პასუხისმგებლობა აწევს ჩადენილ მხეცობათათვის, და მაშინ ისინი შესძლებენ რეკონსტრუქციის საქმეს მოახმარონ ის ამხანაგური ურთიერთობა და გაგება, რაც მათ თმის მკაცრ სკოლაში შეითვისეს.

იდენი

### ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ბ-ნ კორდელ ჰელის დეპეშა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარ ვ. მ. მოლოტოვისადმი

საბჭოთა რესპუბლიკის დაარსების XXV წლისთავის გამო ნება მიბოძეთ, თქვენო აღმატებულებავ, გამოვთქვა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისა და ხალხის გულწრფელი აღტაცება რუსეთის არმიისა და ხალხის გმირობის გამო თქვენს სამშობლოზე ნაცისტური აგრესიის ძალების სასტიკი თავდასხმის წინაშე, კაცობრიობის თავისუფლების, შენარჩუნებისათვის ამ გიგანტურ ბრძოლაში ჩემი ქვეყანა გაბედულად იკრებს ძალებს და მტკიცდება ჩვენი საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში.

დარწმუნებული ვარ, რომ თქვენი ერის, ჩემი ერისა და ყველა გაერთიანებულ ერთა გაერთიანებული ღონისძიებანი სრულ თავისუფლებას მოგვანიჭებენ ყველა ჩვენგანს არა მარტო ბრძოლის ველებზე, არამედ მომავალი მშვიდობიანობის გზებზეც.

კორდელ ჰელი

### მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრისა და მარშლის ჩოიბალსანის დეპეშა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარ ვ. მ. მოლოტოვისადმი

გულწრფელად მოგილოცავთ თქვენ — ლენინისა და სტალინის უახლოეს თანამებრძოლს — და თქვენი სახით მთელ საბჭოთა ხალხს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სახელოვან XXV წლისთავს. სულითა და გულით ვუსურვებ მეგობრულ საბჭოთა ხალხს ოქტომბრის ღირსშესანიშნავ წლისთავზე ჩვენი საერთო მტრის რაც შეიძლება მალე გაანადგურებასა და მოსპობას ამ დიად ბრძოლაში გამხეცებულ გერმანულ ფაშიზმთან. მონღოლი ხალხი იმყოფება მსოფლიოს თავისუფლებისმოყვარე ხალხთა პირველ მწკრივში, რომლებიც გაერთიანდნენ ფაშიზმის შავბნელ ძალთა წინააღმდეგ. გავაკეთებთ ყოველივეს იმისათვის, რათა მოვაახლოოთ გამარჯვების ჟამი.

მხურვალე სალამით ჩოიბალსანი

### ინგლისი

#### დავით ლოიდ-ჯორჯი

ძნელია კაცმა იპოვნოს მაგალითი, რომ ადამიანთა მეცადინეობას ესოდენ ნაყოფიერ შედეგთათვის მიეღწიოს ისეთ მოკლე ხანში, როგორიც რუსეთის რევოლუციის პერიოდში. ჩვენი ქვეყნის მცხოვრებთა უმეტესობა უაღრესად აღტაცებულია იმ ბრძოლით, რომელსაც რუსი ხალხი ეწევა ამ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში. მაგრამ ამ აღტაცებას ახლავს სინანული იმის გამო, რომ მოკავშირე ქვეყნებმა ამ უკანასკნელი ორი სამხედრო კამპანიის განმავლობაში ვერ იგრძნეს თავიანთი თავი იმის უნარის მქონედ, რომ არსებითი დახმარება აღმოეჩინათ მამაცი რუსებისათვის, რომლებიც ასე გმირულად იბრძვიან.

#### პარლამენტის წევრი კომუნისტი ვილიამ გალახერი

ამ 25 წლის განმავლობაში, რაც დიდი ოქტომბრის რევოლუციის მომენტიდან გავიდა, საბჭოთა ხალხმა უაღრესად შესანიშნავი ფურცლები ჩაწერა მსოფლიოს ისტორიაში. ლენინისა და სტალინის და ბოლშევიკური პარტიის გაბედული და უშიშარი ხელმძღვანელობით მან დაამსხვრია მეფის იმპერიალიზმის ძლიერი ბორკილები და გზა გაუკაფა მთელ კაცობრიობას დიადი ახალი წინსვლისათვის. გმირული შრომისა და მსხვერპლის ფასად იგი ზედიზედ აღმოჩნდა სასწაულებს და ცარიზმის ნანგრევებზე ააგო დიდი ახალი საბჭოთა ქვეყანა. ამ ახალ ქვეყანაში შეიჭრნენ ფაშისტი მხეცები, ცდილობენ რა მის მოსპობას, მაგრამ საბჭოთა ხალხის უმაღლესმა მამაცობამ, თავდადებამ და დარაზმულობამ ჩაფუშა ჰიტლერელი ყასბების დანაშაულებრივი გეგმები, ლენინგრადი, მოსკოვი, ოდესა, სევასტოპოლი—ეს სახელები ისტორიის ფურცლებში ჩაიწერა, ახლა კი მათ სტალინგრადიც მიემატა. სად შეიძლება ვპოვოთ კიდევ ასეთი ძლიერი, ასეთი გამძლე, ასეთი ურყევი სიმამაცე, როგორიც არის სიმამაცე, რომელიც სტალინგრადის დამცველებმა გამოიჩინეს. საბჭოთა ხალხი, რომელმაც გზა გაჰკაფა სოციალისტური მშენებლობისაკენ, ახლა დგას როგორც მძლავრი, უძლეველი მეტოქე ფაშისტთა ძალების წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობენ დაიმონონ ევროპა და მთელი მსოფლიო. საბჭოთა ხალხი მეტად დიდხანს იყო მარტო. ჩვენ ინგლისში მთელი ჩვენი ძალები უნდა ჩავაბათ ბრძოლაში; გამარჯვებისათვის აუცილებელია მეორე ფრონტი. ამის გულისათვის ჩვენ დაუღალავად ვიშრომებთ. სრული სამხედრო თანამშრომლობა საბჭოთა კავშირთან სწრაფ საბოლოო გამარჯვებას მოგვიტანს.

* * *

გარდა ამისა, საბჭოთა კავშირისადმი მისალმებანი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXV წლისთავთან დაკავშირებით მიღებულია ინგლისელ მკერავთა პროფკავშირის გენერალურ მდივან კონლისაგან, შოტლანდიის წმ. ანდრიას უნივერსიტეტის რექტორ ჯემს ირვინისაგან, ლონდონის საიმპერიო კოლეჯის მათემატიკის პროფესორის, ასტრონომიული საზოგადოების პრეზიდენტ სიდნეი ჩეპმენისაგან, დირიჟორ სერ ჰენრი ვუდისაგან, ლონდონის საუნივერსიტეტო კოლეჯის პროფესორ ჯ. ბ. ჰოლდეინისაგან, პარლამენტის წევრ დამოუკიდებელ ელეონორა რეტბონისაგან, ლონდონის საგრაფოს საბჭოს თავმჯდომარე ბლეიკისაგან, ცნობილ ინგლისელ ჟურნალისტ ჰარვეისაგან, ოქსფორდის უნივერსიტეტის ვიცე-რექტორ როსისაგან, № 8 სამეფო საარტილერიო ქარხნის საქარხნო მამასახლისთა რწმუნებულ უოკერისაგან, ინგლისის ლეიბორისტული პარტიის აღმასკომის თავმჯდომარე დობსისაგან.

# ამხანაგ სტალინის მოხსენება მთელი მსოფლიოს საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრშია

## ინგლისი

ლონდონი, 7 ნოემბერი (საკდესი). ამხანაგ სტალინის მოხსენებამ, მიძღვნილმა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXV წლისთავისადმი, უდიდესი ინტერესი გამოიწვია ინგლისში. მოხსენების დამთავრების შემდეგ მალევე დაიწყო მისი დაწვრილებითი შინაარსის გადაცემა ლონდონის რადიოთი. 6 ნოემბერს გვიან საღამოს და 7 ნოემბერს დილით ინგლისის ყველა რადიოსადგურმა გადასცა ამხანაგ ი. ბ. სტალინის მოხსენების სრული ტექსტი ინგლისურ, ფრანგულ, ჩეხურ, ნორვეგიულ, გერმანულ, ესპანურ, იტალიურ და სხვა ენებზე.

დილის ყველა გაზეთმა თვალსაჩინო ადგილზე გამოაქვეყნა ამხანაგ სტალინის მოხსენების დაწვრილებითი შინაარსი, ამასთან განსაკუთრებით გამოჰყავს მისი განცხადება 1942 წელს გერმანიის გეგმების ჩაშლის შესახებ, ანტიჰიტლერული კოალიციის სიმტკიცისა და მეორე ფრონტის გახსნის პერსპექტივების შესახებ.

პრესა და რადიო გაცხოველებით უკეთებენ კომენტარს ამხანაგ სტალინის ისტორიული მოხსენების ძირითად დებულებებს.

როიტერის სააგენტოს დიპლომატიური მიმომხილველი სწერს:

„სტალინის სიტყვა—ეს არის სიტყვა ძლიერი ადამიანისა, რომელიც დარწმუნებულია თავის თავში, დარწმუნებულია თავის არმიაში, დარწმუნებულია მუშებში, დარწმუნებულია საბოლოო გამარჯვებაში. ეს როდია მკვეხარა გაბოროტებული ან აღელვებული სიტყვა. მან გააკეთა მდგომარეობის გულახდილი და რეალისტური მიმოხილვა და, თუ გულნაკლულობა გამოსთქვა მეორე ფრონტის გახსნის დაგვიანების გამო, მისი გრძნობები ადვილად ასახსნელია. მარტო რუსები როდი ელიან მოუთმენლად დაპირებულ შეტევას. შესაძლოა, რომ მან არასაკმარისად შეაფასა ეგვიპტეში წარმოებული კამპანია, რომელიც, ციფრების თვალსაზრისით განხილული, უმნიშვნელო სჩანს რუსეთში წარმოებულ გიგანტურ ოპერაციებთან შედარებით. მაგრამ მან გამოსთქვა იმის რწმენა, რომ მეორე ფრონტი ადრე თუ გვიან გაიხსნება, აგრეთვე რწმენა, რომ ანტიჰიტლერული კოალიციის მოქმედება საბოლოო ანგარიშით გამარჯვებით დამთავრდება".

„სტალინმა,—სწერს შემდეგ მიმომხილველი,—გამოაცხადა სამი დიადი მიზანი, სახელდობრ: ჰიტლერული გერმანიის, მისი არმიისა და „ახალი წესრიგის" მოსპობა. ამ მიზნებს გულწრფელად გამოეხმაურება ყოველი სახელმწიფო ან ცალკეული პირი, რომელიც კი ღერძის სახელმწიფოთა მოწინააღმდეგეთა რიგებში ჩამდგარა".

გაზეთი „ტაიმსი" მოწინავეში სწერს:

„შესაძლოა, რომ 1942 წლის 7 ნოემბერს როდისმე მიიჩნევენ, როგორც მიჯნას, რომელიც აღნიშნავს გაერთიანებული ერების სტრატეგიის გადამწყვეტ გადასვლას თავდაცვიდან შეტევაზე". გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს სტალინის მითითებას ინგლის-საბჭოთა კავშირის მეგობრობის განმტკიცებაზე და სწერს: „1942 წელს დასავლეთ ევროპაში სამხედრო მოქმედების დაწყების დაყოვნების გამო საყვედური, რომელიც აშკარად სჩანს სტალინის მოხსენებაში, გასაგებია, რაც უნდა დიდი საფუძვლები ჰქონდეს ამ დაყოვნებას". გაზეთი დაჟინებით მოითხოვს, რათა ინგლისმა მეტი ენერგია მოახმაროს იმას, რომ უზრუნველყოს სსრ კავშირთან თანამშრომლობა, რაც „ქვაკუთხედია ინგლისის პოლიტიკისა ევროპაში ახლა და მომავლისათვის".

## შვეცია

სტოკჰოლმი, 7 ნოემბერი (საკდესი). ამხანაგ სტალინის მოხსენებას, მიძღვნილს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXV წლისთავისადმი, დიდი ინტერესით შეხვდნენ შვეციაში. სტოკჰოლმის რადიოსადგურმა გადასცა ამხანაგ სტალინის მოხსენების დაწვრილებითი შინაარსი.

## შვეიცარია

ჟენევა, 7 ნოემბერი (საკდესი). დღეს შვეიცარიის ყველა რადიოსადგურმა გადასცა ამხანაგ სტალინის მოხსენების ვრცელი შინაარსი.

## ამერიკის შეერთებული შტატები

ნიუ-იორკი, 7 ნოემბერი (საკდესი). თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის—ამხანაგ სტალინის მიერ მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საბჭოს, ქ. მოსკოვის პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საზეიმო სხდომაზე გაკეთებული მოხსენება ამერიკის საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრშია.

ამერიკის უდიდესმა რადიოსადგურებმა შეასწყვიტეს თავიანთი ჩვეულებრივი ტრანსლაცია, რათა გადაეცათ ცნობები ამხანაგ სტალინის მოხსენების შესახებ. ამერიკის შეერთებული შტატების რადიოსადგურებმა ინგლისურ, ფრანგულ, ესპანურ და პორტუგალიურ ენაზე გადასცეს ამხანაგ სტალინის მოხსენების დაწვრილებითი შინაარსი.

ყველა გაზეთი თვალსაჩინო ადგილას აქვეყნებს ამხანაგ სტალინის ისტორიული მოხსენების დაწვრილებით შინაარსს.

## ლათინური ამერიკა

ნიუ-იორკი, 7 ნოემბერი (საკდესი). ამხანაგ სტალინის მოხსენებამ, მიძღვნილმა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXV წლისთავისადმი, უდიდესი ინტერესი გამოიწვია ლათინური ამერიკის ყველა ქვეყანაში.

## ინგლისური პრესა ამხანაგ სტალინის მოხსენების შესახებ

გაზეთი „მანჩესტერ გარდიანი" ამხანაგ სტალინის მოხსენებისადმი მიძღვნილ მოწინავეში სწერს, რომ ეს მოხსენება წარმოადგენს დიდი მნიშვნელობის მოვლენას და მან ამომწურავი პასუხი გასცა ყოველგვარ ეჭვს გაერთიანებული ერების წარმატების შესახებ თავიანთ ძალთა შეერთების საქმეში. სტალინმა პასუხი გასცა პესიმისტებს, რომლებიც ფიქრობენ, რომ მოკავშირეებს არ გააჩნიათ ის უნარი და გამოცდილება, რაც საჭიროა იმში თავიანთი რესურსების გამოსაყენებლად. „იგი,—განაგრძობს გაზეთი,—გამამხნევებლად და გულახდილად ლაპარაკობდა მოკავშირეთა ურთიერთობაზე. მან დაჰგმო აზრი, თითქოს იდეოლოგიური განსხვავებანი შეუძლებელს ხდიან თანამშრომლობას, და განაცხადა, რომ ურთიერთგაგება გაერთიანებულ ერებს შორის მტკიცე საბრძოლო კავშირად იქცა. მან შარშანდელი წლის მაისში ლონდონს ხელმოწერილი ხელშეკრულება დაახასიათა, როგორც „ისტორიული მობრუნება ჩვენი ქვეყნისა და ინგლისის ურთიერთობაში", ხოლო ჩერჩილის დარბაზობის შესახებ განაცხადა, რომ ეს დარბაზობა სრული ურთიერთგაგებით დამთავრდა. ეს სიტყვები აღმაფრთოვანებელია და დაუყოვნებლივ გამოხმაურებას გამოიწვევენ ინგლისში".

შემდეგ გაზეთი სწერს, რომ დიდ ინტერესს იწვევს სტალინის განცხადება იმის შესახებ, თუ რა სამხედრო გეგმები ჰქონდათ გერმანელებს შარშან ზაფხულში. „გერმანელთა გეგმების ჩაშლა,—აღნიშნავს გაზეთი,—სტალინური რუსეთის ბრწყინვალე საბრძოლო თვისებათა შედეგია. უნდა აღინიშნოს, რომ სტალინმა მართებულად და თავშეკავებულად ილაპარაკა მეორე ფრონტზე, რომელიც გაიხსნება „არა მარტო იმიტომ, რომ იგი ჩვენ გვესაჭიროება, არამედ, უწინარეს ყოვლისა, იმიტომაც, რომ იგი არა ნაკლებ ესაჭიროებათ ჩვენს მოკავშირეებს, ვიდრე ჩვენ". ეს სავსებით სამართლიანი დასაბუთებაა. მოკავშირეებმა უნდა დაანაწილონ გერმანელთა ძალები და ხელი შეუშალონ ამ ძალების თავმოყრას აღმოსავლეთში, რათა მოკავშირეებს შეეძლოთ ძალები ჰყავდეთ როგორც დასავლეთში, ისე აღმოსავლეთშიც. ეს,—როგორც სტალინი ამბობს,—უცილობლად უნდა მოხდეს. მაგრამ ადგილი და დრო არჩეულ უნდა იქნას იმ გარემოებათა და რესურსთა შესაბამისად, რომლებიც საჭიროა მათი წარმატებისათვის. როდესაც ეს დრო დადგება,—სწერს დასასრულ გაზეთი,—უნდა გადადგმულ იქნას მტკიცე და კარგად მომზადებული ნაბიჯი, რომელიც არა ნაკლებ ესაჭიროებათ ჩვენს მოკავშირეებს, ვიდრე ჩვენ".

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამერიკის ჯარები საფრანგეთის ჩრდილოეთ აფრიკაში გადასხდნენ

ლონდონი, 8 ნოემბერი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ამერიკის ჯარები, რომლებსაც გენერალი ეიზენჰაუერი სარდლობს, საფრანგეთის ჩრდილოეთ აფრიკის მთელ რიგ პუნქტებში გადასხდნენ. ოპერაციებში მონაწილეობენ სახმელეთო ჯარები, ფლოტი და ავიაცია.

თეთრი სახლის განცხადებით, ამერიკის ჯარები იმ მიზნით გადასხდნენ, რომ აიცილონ გერმანიისა და იტალიის შესევა.

რეიტერის სააგენტო [illegible] ამერიკის შეიარაღებული ძალები [illegible]ლივ მიიღებენ ინგლისის არმიის მნიშვნელოვან მაშველ ჯარებს.

ამერიკისა და ინგლისის თვითმფრინავებმა საფრანგეთის ქალაქებში ჩამოყარეს ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობათა მიმართვები ფრანგი ხალხისადმი.

# საფრანგეთის ჩრდილოეთ აფრიკაში ამერიკელთა ჯარების გადასხმის გამო

ლონდონი, 8 ნოემბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ საფრანგეთის ჩრდილოეთ აფრიკაში ამერიკელთა ჯარების გადასხმასთან დაკავშირებით, რუზველტმა წერილით მიმართა ფრანგ ხალხსა და აფრიკაში მცხოვრებ ფრანგებს. მიმართვა გადაცემული იყო რადიოთი ფრანგულ ენაზე. ფურცლები ამ მიმართვის ტექსტით ჩამოყრილ იქნა ინგლისის თვითმფრინავების მიერ საფრანგეთისა და საფრანგეთის ჩრდილოეთ აფრიკის ძირითად ცენტრებში.

წერილში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ როგორც კი თავიდან იქნება აცილებული გერმანიისა და იტალიის მუქარა საფრანგეთისადმი, მოკავშირეთა ჯარები დაუყოვნებლივ დასტოვებენ დაკავებულ ტერიტორიას. რუზველტი მოუწოდებდა ფრანგებს დახმარება აღმოუჩინონ ა. შ. შტატებს იქ, სადაც კი შესძლებენ.

ჟენევა, 8 ნოემბერი (საკდესი). როგორც ჰავას-ოფის სააგენტომ გადმოგვცა, პეტენმა რუზველტის მიმართვაზე თავის პასუხში განაცხადა, რომ იგი „გაუმართლებლად" სთვლის მიმართვის საბუთებს ღერძის სახელმწიფოების მიერ ჩრდილოეთ აფრიკის ხელში ჩაგდების ცდის შესახებ. და ბრძანება მისცა ჯარებს წინააღმდეგობა გაუწიონ.

ლონდონი, 8 ნოემბერი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, საფრანგეთის ჩრდილოეთ აფრიკაში ამერიკელთა ჯარების გადასხმა ა. შ. შტატების მიერ დაწყებულია დიდი ბრიტანეთის მთავრობის სრული მხარდაჭერითა და თანამშრომლობით.

ლონდონი, 8 ნოემბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ როგორც ა. შ. შტატების სამხედრო სამინისტრო იუწყება, საექსპედიციო ჯარები გადასხდნენ ორანსა და ალჟირში. ფორტი სიდი-ფერუხი, რომელიც ალჟირიდან 20 მილზე მდებარეობს, შეერთებული შტატების ჯარებს დანებდა. ამერიკელებმა დაიკავეს აგრეთვე მეორე თავდაცვითი პოზიცია უშუალოდ ალჟირის მახლობლად.

ლონდონი, 8 ნოემბერი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, ვიშში ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ ქალაქ ალჟირში სამხედრო მოქმედება შეწყვეტილია. ფრანგთა ჯარები იზოლირებულ იქნებიან ყაზარმებში.

კასაბლანკის ახლოს აფრიკის ჩრდილოდასავლეთ სანაპიროსთან სწარმოებს საზღვაო ბრძოლა.

ლონდონი, 8 ნოემბერი (საკდესი). დღეს რადიოთი ფრანგ ხალხს სიტყვით მიმართა გენერალმა დე გოლმა. „დადგა დიდი მომენტი, —სთქვა მან.—ჩრდილოეთ აფრიკაში გადასხდომა იწყეს უდიდესმა ძალებმა.

საქმე ეხება იმას, რომ ჩვენი ალჟირი, ჩვენი ტუნისი, ჩვენი მაროკო საფრანგეთის განთავისუფლების საწყის ბაზად იქცნენ".

დე გოლი მოუწოდებდა საფრანგეთის არმიას, ავიაციასა და ფლოტს—შეუერთდნენ მოკავშირეებს.

ნიუ-იორკი, 9 ნოემბერი (საკდესი). ამერიკის ბომბდამშენებმა სამ ტალღად მოახდინეს კასაბლანკაზე თავდასხმა და ცეცხლი წაუკიდეს დოკებს. კასაბლანკის მახლობლად გაჩაღდა დიდი საზღვაო ბრძოლა.

ვიშიდან გადმოგვცემენ, რომ ამერიკელთა ჯარებმა დაიკავეს საფი, კასაბლანკის სამხრეთით და გამაგრდნენ მედიაში, რაბატის ჩრდილოეთით.

ლონდონი, 9 ნოემბერი (საკდესი). ჩრდილოეთ აფრიკაში მოკავშირეთა ძალების შტაბის დღეს გამოქვეყნებულ კომუნიკეში ნათქვამია, რომ საფრანგეთის ჩრდილოეთ აფრიკის ატლანტისა და ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე ამერიკელთა ჯარების გადასხმა გეგმის თანახმად გრძელდება. დაკავებულია რამდენიმე მნიშვნელოვანი აეროდრომი. ვიშის ჯარები სუსტ წინააღმდეგობას გვიწევენ. დილით ადრე გადასხმული ნაწილები სწრაფად მიიწევენ წინ.

მოკავშირეთა სამხედრო-საზღვაო ძალები კონტროლს უწევენ მდგომარეობას და არავითარი ზარალი არ მისვლიათ, გარდა ორი მცირე ხომალდისა. 7 ნოემბრის განმავლობაში ტორპედირებულ და მწყობრიდან გამოყვანილ იქნა მოკავშირეთა ერთი ტრანსპორტი. ამ ტრანსპორტზე მყოფი ჯარები ნაპირზე გადასხდნენ.

# ამერიკის ჯარების ოპერაციები ჩრდილოეთ აფრიკაში

ლონდონი, 9 ნოემბერი (საკდესი). როგორც მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების შტაბის ლონდონელმა წარმომადგენელმა განაცხადა, მაროკოსა და ალჟირში გადასხმული ძალები საკმარისია იმისათვის, რომ სძლიონ ყოველგვარი შესაძლებელი წინააღმდეგობა.

გუშინდელი დღის განმავლობაში მოკავშირეთა ოპერაციებისათვის ვიშის მთავრობის სახმელეთო ძალებს ფაქტიურად წინააღმდეგობა არ გაუწევიათ, მაგრამ ზოგიერთ პუნქტში, განსაკუთრებით ატლანტის ოკეანის დასავლეთ ნაწილში, მათ საკმაოდ ძლიერი წინააღმდეგობა გაუწიეს საფრანგეთის სამხედრო-საზღვაო შენაერთებმა და სანაპირო ბატარეებმა. ამჟამად ორანისა და ალჟირის რაიონებში გადამსხდარი ამერიკელთა ჯარები სწრაფად მიიწევენ წინ, სატვირთო გემებს შეუფერხებლად სცლიან მათს ზურგში.

# ბრძოლები კასაბლანკასთან

ჟენევა, 9 ნოემბერი (საკდესი). დღეს ვიშის რადიოსადგურმა გამოაცხადა, რომ კასაბლანკასთან გაფართოებული საზღვაო ბრძოლის შედეგად ვიშის სამხედრო-საზღვაო ძალებს სერიოზული ზარალი მოუვიდათ, ნავსადგური კასაბლანკა სასტიკად დაბომბეს. ორანი ფაქტიურად გარშემორტყმულია.

ლონდონი, 9 ნოემბერი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ამერიკის ქვეითი ჯარის ნაწილებს ტანკების დახმარებით იერიში მიაქვთ კასაბლანკაზე ფედჰალის მხრიდან მისული სამი კოლონით. ბრძოლა სწარმოებს 6 კილომეტრზე ქალაქის აღმოსავლეთით.

# გენერალ ეიზენჰაუერის დანიშვნა

ვაშინგტონი, 8 ნოემბერი (საკდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, ჩრდილოეთ აფრიკაში მოქმედი ჯარები ამერიკელ გენერალ-ლეიტენანტის ეიზენჰაუერის ერთიანი სარდლობის ქვეშ იმყოფებიან. რამდენიმე თვის წინათ შტაბების უფროსთა გაერთიანებული ჯგუფის მითითებით ლონდონში შეიქმნა მოკავშირეთა ძალების შტაბი ეიზენჰაუერის მეთაურობით. როცა წარმოიშვა ჩრდილოეთ აფრიკაში ღერძის სახელმწიფოთა შეჭრის საფრთხე, ეიზენჰაუერი თავის შტაბთან ერთად შეუდგა იმ ოპერაციების გეგმის შედგენას, რომლებიც ამჟამად ხდება.

ერთიან სარდლობაში შედიან ოპერაციებში მონაწილე ინგლისელთა და ამერიკელთა ყველა სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო ძალები. ამავე დროს ეიზენჰაუერი რჩება ევროპის ოპერაციების ასპარეზზე მყოფი ამერიკელთა ყველა სამხედრო ძალების სარდლად.

# კენინგჰემი სარდლობს მოკავშირეთა გაერთიანებულ ფლოტს

ლონდონი, 9 ნოემბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტოს ცნობით, ინგლისისა და ამერიკის სამხედრო-საზღვაო ძალები ჩრდილოეთ აფრიკაში სერ ენდრიუ კენინგჰემის უმაღლესი სარდლობის ქვეშ იმყოფებიან.

# აჯანყება მაროკოსა და ტუნისში

ჟენევა, 9 ნოემბერი (საკდესი), როგორც ვიშის რადიო იუწყება, მაროკოსა და ტუნისში იფეთქა აჯანყებამ ვიშის ხელისუფლების წინააღმდეგ. მაროკოს მთელ ტერიტორიაზე საალყო წესები გამოცხადდა.

ვიშიდან მიღებული ცნობებით ჩანს, რომ პეტენის ხელისუფალნი ცდილობენ ტერორით ჩაახშონ ადგილობრივი მოსახლეობის აჯანყება.

# ინგლისელთა ჯარები ალჟირში გადასხდნენ

ლონდონი, 9 ნოემბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ ალჟირში დაიწყო ინგლისელთა ჯარების გადასხდომა. ვიშის მოიერიშე ბომბდამშენებს განუწყვეტლივ მიაქვთ იერიშები მოკავშირეთა ჯარების ტრანსპორტებზე. ამერიკელთა სამხედრო ხომალდების საზენიტო არტილერია განუწყვეტლივ სროლას აწარმოებს.

# დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტა ვიშის მთავრობასა და ა. შ. შტატებს შორის

ლონდონი, 8 ნოემბერი, (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ დღეს საღამოს ლავალმა ა. შ. შტატების საქმეთა რწმუნებულს ტუკს გადასცა ფორმალური ცნობა ა. შ. შტატებთან დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტის შესახებ.

ლონდონი, 9 ნოემბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტო ვაშინგტონიდან გადმოგვცემს ელვა-რადიოგრამას, რომელშიც აღნიშნულია, რომ საფრანგეთის ელჩს თავისი პასპორტი ჩააბარეს. შეერთებულმა შტატებმა კონფისკაცია უყვეს ვიშის მთავრობის ყველა გემს, რომლებიც ამერიკის ნავსადგურებში იმყოფებოდა.

# შეკითხვები და გამოსვლები საგარეო პოლიტიკის საკითხთა შესახებ შვეციის რიქსდაგის სხდომაზე

სტოკჰოლმი, 9 ნოემბერი (საკდესი). როგორც შვეციის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რიქსდაგის დეპუტატმა ბრანდტმა შემდეგი შეკითხვა მისცა საგარეო საქმეთა მინისტრს და იუსტიციის მინისტრს: „რატომ არა ჰყავს შვეციას დიპლომატიური წარმომადგენელი ნორვეგიის სამეფოს მთავრობასთან; განა დრო არ არის შესწყდეს „გერმანელ შვებულთა მგზავრობა" შვეციით, ვინაიდან უნდა ვიფიქროთ, რომ ამჟამად ასეთი მგზავრობა, თუ მხედველობაში მივიღებთ გემების ტორპედირებას ბალტიკაში, საფრთხეს წარმოადგენს და შეიძლება ხელი შეუწყოს ომში შვეციის ჩათრევას? რა ნორმებით ხელმძღვანელობს ახლა მთავრობა გაზეთების კონფისკაციის დროს?".

კამათში მონაწილეობა მიიღო დეპუტატმა ანდერსონმა, რომელმაც განაცხადა: „გაკვირვებას იწვევს ცხენების დიდი ექსპორტი შვეციიდან ერთ-ერთი მეომარი ქვეყნისათვის".

## უკანასკნელი ცნობები

# ლონდონში გაიმართა მიტინგი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXV წლისთავის აღსანიშნავად

ლონდონი, 9 ნოემბერი (საკდესი). 7 ნოემბერს ლონდონის ყველაზე დიდ დარბაზში გაიმართა მიტინგი სსრ კავშირის დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXV წლისთავის აღსანიშნავად. ვეებერთელი დარბაზის ყველა იარუსი გაჭედილი იყო. დარბაზის ცენტრში პატარა ტრიბუნაზე ფრიალებდა საბჭოთა და ინგლისის დროშები. ტრიბუნაზე იყვნენ სსრ კავშირის ელჩი მაისკი, საბჭოთა სტუდენტების დელეგატები პავლიჩენკო, კრასავჩენკო, პჩელინცევი, ინგლისისა და მოკავშირე ქვეყნების უმაღლესი სარდლობის წარმომადგენლები.

მიტინგის გახსნის შემდეგ ინგლისისა და მოკავშირეთა ჯარისკაცების რაზმებმა, რომლებიც მწყობრად იდგნენ, ისე როგორც მთელმა მრავალათასოვანმა აუდიტორიამ, დაძაბული ყურადღებით მოისმინეს ამხანაგ სტალინის ისტორიული მოხსენება მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საბჭოს და ქალაქ მოსკოვის პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საზეიმო სხდომაზე. მქუხარე ტაში გამოიწვია ამხანაგ სტალინის განცხადებამ ჰიტლერული გერმანიის მოსპობის ამოცანის შესახებ და იმ მოსაზრებათა უაზრობის შესახებ, თითქოს მოკავშირეთა საზოგადოებრივი წყობილების განსხვავებას შეუძლია დააბრკოლოს მათი გაერთიანებული მოქმედება. ამხანაგ სტალინის სიტყვებმა იმის შესახებ, რომ მეორე ფრონტი იქნება „უწინარეს ყოვლისა, იმიტომაც, რომ იგი არანაკლებ ესაჭიროებათ ჩვენს მოკავშირეებს, ვიდრე ჩვენ", გამოიწვია მქუხარე მისალმებანი.

მიტინგზე წაკითხულ იქნა საგარეო საქმეთა მინისტრ იდენის მისალმება ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვისადმი.

მიტინგზე დიდი სიტყვა წარმოსთქვა პრიტმა. „ჩვენ აღსავსენი ვართ გადაწყვეტილებით,—ტაშის გრიალში განაცხადა პრიტმა,—შევეჯიბროთ საბჭოთა ხალხს, რომელმაც თავისი დიდებული მიღწევებით ახალი საგმირო ხანა დაიწყო. ჩვენ ნათლად გვაქვს შეგნებული ჩვენი ამოცანის სიდიადე და მზად ვართ ყოველგვარი მსხვერპლი გავიღოთ გამარჯვებისათვის".

მიტინგზე სიტყვები წარმოსთქვეს აგრეთვე ლ. პავლიჩენკომ, ინგლისის გამოჩენილმა საზოგადო მოღვაწე ქალებმა ი. ბრაუნმა და ეშბიმ.

# აფეთქება შვეცია-ფინეთის საზღვარზე

სტოკჰოლმი, 9 ნოემბერი (საკდესი). როგორც გაზეთი „ნიუ დაგი" იუწყება, ამ დღეებში ფინეთის სოფელ სიდვაიოვეიოში (შვეციის საზღვარზე) ძლიერი აფეთქება მოხდა. აფეთქებით გამოწვეულმა ხანძარმა მოსპო გერმანელთა 8 ავტომანქანა, გარაჟი, ბარაკი და 100-მდე კაცი. აფეთქების მიზეზების შესახებ არაფერი იციან.

## ინგლისელთა შეტევა ეგვიპტეში

**ლონდონი,** 6 ნოემბერი (საკდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, გუშინ მერვე არმია განაგრძობდა მტრის დევნას. ინგლისელთა ჯავშნსატანკო ნაწილები მტრის არიერგარდს ხვდებიან ელ-დაბის გაცილებით დასავლეთით. გუშინდელი დღის განმავლობაში ტყვედ წამოყვანილია სულ მცირე 4.000 კაცი. ფრონტის სამხრეთ უბანზე კვლავ გარშემორტყმულია იტალიელთა მნიშვნელოვანი რიცხვი, რომლებიც, ეტყობა, მიტოვებულ იქნენ უდაბნოში გერმანელთა მექანიზებული შენაერთების მიერ. ტყვედ წამოყვანილია იტალიელთა „ტრენტოს" დივიზიის მეთაური და ამ დივიზიის შტაბი. გუშინ ხელთ ვიგდეთ იტალიელთა სულ მცირე 59 და გერმანელთა 20-ზე მეტი ტანკი.

**ლონდონი,** 7 ნოემბერი (საკდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, 5 ნოემბერს ღამით და 6 ნოემბერს მერვე არმია განაგრძობდა დასავლეთისაკენ წინსვლას. მოწინააღმდეგის ჯავშნიანი ნაწილების ნაშთები ცდილობდნენ ინგლისელთა ნაწილების შეჩერებას ფუკასთან, მაგრამ იძულებული იყვნენ დასავლეთისაკენ დაეხიათ.

დღემდე ბრიტანეთის ჯარებმა ხელთ იგდეს 20.000-ზე მეტი ტყვე, 350 ტანკი, 400 ქვემეხი, ათასობით ავტომანქანები და ტრანსპორტის სხვა საშუალებანი.

სამხრეთით სწარმოებს გარშემორტყმულ იტალიელთა დივიზიების მოსპობა.

**ლონდონი,** 8 ნოემბერი (საკდესი). ინგლისის ახლო აღმოსავლეთის ძალთა სარდლობის კომუნიკეში ნათქვამია, რომ ინგლისის მე-8 არმია 7 ნოემბერს განაგრძობდა მტრის იმ ჯავშნსატანკო ძალების დევნას, რომლებიც ლიბია-ეგვიპტის საზღვრისაკენ იხევენ. მტრის ნაწილები, რომლებიც ბრძოლას ეწევიან და ცდილობენ მერსა-მატრუხთან შეაჩერონ ინგლისის არმიის წინსვლა, გარშემორტყმული არიან. თავისთავ[illegible] გერმანელთა [illegible]რეების მიერ ელ-ალამ[illegible] ინგლისელთა ჯარების გარშემორტყმა გრძელდება. ტყვედ წამოყვანილია იტალიელთა სამი დივიზიის შტაბების პირადი შემადგენლობა.

**ლონდონი,** 9 ნოემბერი (საკდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, იარაღი დაჰყარეს მტრის ნაწილებმა, რომლებიც მერსა-მატრუხს იცავდნენ. წამოყვანილია ბევრი ტყვე, მათ შორის იტალიელთა „პავიას" დივიზიის უფროსი.

7 ნოემბერს ღამით გრძელდებოდა ინგლისის ავიაციის ინტენსიური იერიშები მტრის თავმოყრილ ტრანსპორტზე. მტრის ავიაციის აქტივობა უმნიშვნელო იყო.

რეიტერის სააგენტოს ცნობით, მერსა-მატრუხის—გერმანელთა ჯავშნსატანკო ძალების ძირითადი ბაზის დაკავების შემდეგ, ინგლისელები ლიბიის საზღვართან მივიდნენ. გერმანელთა საარიერგარდო ნაწილები გარშემორტყმული არიან ჰალფაიის კლდეკარის აღმოსავლეთით. მტერი დამარცხდა აგრეთვე მერსა-მატრუხის დასავლეთით. ავიაცია განაგრძობს უკანდახეული ნაწილების დაბომბვას. უკანასკნელი არაოფიციალური ცნობებით, ინგლისელთა შეტევის დაწყებიდან საერთო რიცხვით წამოყვანილია 30-40 ათასი ტყვე. იტალიელ-გერმანელთა ჯარებმა რამდენიმე ასეული ტანკი და 1000-მდე საარტილერიო ქვემეხი დაჰკარგეს. გარშემორტყმას ან განადგურებას ჯერჯერობით თავი დააღწიეს ჯარების მხოლოდ ცალკეულმა ნაწილებმა.

**კაირო,** 9 ნოემბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტოს ცნობით, უდაბნოში გარშემორტყმული იტალიელთა ექვსი დივიზია მთლიანად წამოყვანილია ტყვედ მათი მატერიალური ნაწილიანად. წამოღებულია ან მოსპობილია 900 ქვემეხი.

## ინგლისის ავიაციის თავდასხმა გენუაზე

**ლონდონი,** 8 ნოემბერი (საკდესი). ინგლისის ავიაციის სამინისტროს კომუნიკეში ნათქვამია, რომ 7 ნოემბერს ღამით ინგლისის თვითმფრინავებმა ხელახლა დაბომბეს გენუა. ეს იერიში უფრო დიდი მასშტაბისა იყო, ვიდრე წინა ღამეს. აღნიშნულია რამდენიმე დიდი ხანძარი.

## „სტალინგრადის დღე" ნიუ-იორკში

**ნიუ-იორკი,** 7 ნოემბერი (საკდესი). ქალაქ ნიუ-იორკის მერმა ლა გარდიამ 8 ნოემბერი „სტალინგრადის დღედ" გამოაცხადა. „სტალინგრადის დღის" მიზანია,—განაცხადა ლა გარდიამ,—ჯეროვანი მივაგოთ ჩვენს მოკავშირეს და ცხადვყოთ ჩვენი საბრძოლო ერთობა მასთან სრული გამარჯვების მიღწევისათვის ბრძოლაში".

## ანტიფაშისტური დემონსტრაცია ჩილეში

**ნიუ-იორკი,** 9 ნოემბერი (საკდესი). გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის" ცნობით, ჩილის დედაქალაქ სანტიაგოში გაიმართა დიდი დემონსტრაცია, რომლის მონაწილენი მოითხოვდნენ გერმანიასთან ურთიერთობის გაწყვეტას. დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო 50 ათასმა კაცმა, რომელნიც წარმოადგენდნენ ყველა დემოკრატიულ პარტიას, პროფკავშირულ ორგანიზაციას, სტუდენტთა და სხვა საზოგადოებებს.

## ინგლისში ჩავიდა საბჭოთა სტუდენტების დელეგაცია

**ლონდონი,** 8 ნოემბერი (საკდესი). ახალგაზრდობის იმ საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად, რომელიც 14 ნოემბერს იხსნება, ინგლისში ჩავიდა საბჭოთა სტუდენტების დელეგაცია ამხ. კრასავჩენკოს, პჩელინცევის და ლუდმილა პავლიჩენკოს შემადგენლობით. დელეგაციის წევრები გაეცნობიან ინგლისელი ახალგაზრდობის მონაწილეობას ინგლისის სამხედრო ღონისძიებებში.

## ამერიკელთა ჯარების ჩასვლა კაიროში

**ლონდონი,** 8 ნოემბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ კაიროში ჩავიდა ამერიკელთა 7.000-მდე ჯარისკაცი.

## ამერიკელთა ბომბდამშენების თავდასხმა ლილზე, აბვილსა და ბრესტზე

**ლონდონი,** 9 ნოემბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ 8 ნოემბერს „მფრინავი ციხის ბ-17" ბომბდამშენებმა მოკავშირე ქვეყნების ავიაგამანადგურებელთა თანხლებით დაბომბეს მეტალურგიული და ორთქლმავალთშემკეთებელი ქარხნები ლილში და მტრის აეროდრომი აბვილში. აღნიშნულია, რომ ბომბები პირდაპირ მოხვდა მთელ რიგ ობიექტებს.

დაბომბვა განიცადეს აგრეთვე წყალქვეშა ნავების მისადგომებმა და საყუდლებმა ბრესტში (საფრანგეთის ოკუპირებული ზონა).

ყველა ამ ოპერაციიდან თავის ბაზაში არ დაბრუნებულა 8 თვითმფრინავი.

## კანადის ჯარების ახალი კონტინგენტების ჩასვლა ინგლისში

**ლონდონი,** 8 ნოემბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ ინგლისში ჩამოვიდნენ კანადის ქალთა კორპუსის ნაწილები, სატანკო ქვეგანაყოფები კანადის ჯარებისათვის და კანადის სამხედრო-საჰაერო ძალთა პირადი შემადგენლობა.

## მადაგასკარზე დროებითი ზავი ჩამოვარდა

**ლონდონი,** 6 ნოემბერი (საკდესი). სამხედრო სამინისტრო იუწყება, რომ მადაგასკარის გენერალ-გუბერნატორის მეშვეობით ვიშის მთავრობისაგან მიღებული თხოვნის თანახმად 5 ნოემბერს კუნძულზე საომარი მოქმედება შესწყდა.

## ლექციები და მოხსენებები

**10 ნოემბერს, საღამოს 5 საათსა და 30 წუთზე,** მოლოტოვის რაისაბჭოს აღმასკომის დარბაზში (პლეხანოვის პრ. № 40) შესდგება ამხ. **სულეიმანის** ლექცია რუსულ ენაზე. თემა: **„სამამულო ომის მიმდინარე მომენტი და ჩვენი ამოცანები".**

ბილეთების მიღება შეიძლება საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის მოლოტოვის რაიკომის რაიაგიტპუნქტში (პლეხანოვის პრ. № 83) და რაისაბჭოს აღმასკომის სხდომათა დარბაზში.

**10 ნოემბერს, საღამოს 7 საათსა და 30 წუთზე,** საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საქალაქო აგიტპუნქტში (ლენინის ქ. № 41) **შესდგება ამხ. ფრიშენბერგის** ლექცია რუსულ ენაზე. თემა: **„სსრ კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა".**

ბილეთების მიღება შეიძლება საქალაქო აგიტპუნქტის ბიბლიოთეკაში დილის 9 საათიდან საღამოს 7 საათამდე.

## თეატრებში

**სახოპერა** — 10 ნოემბერს — „ტოსკა", 11 ნოემბერს — „სევილიელი დალაქი". **რუსთაველის სახელობის** — 10 ნოემბერს—„ოლეკო დუნდიჩ", 11 ნოემბერს — „სხვისთვის სულელი, თავისთვის ჭკვიანი". **მარჯანიშვილის სახელობის** — 10 ნოემბერს — „ინჟინერი სერგეევი", 11 ნოემბერს — „გრიგალი". **გრიბოედოვის სახელობის** — 10 და 11 ნოემბერს — „ფელდმარშალი კუტუზოვი". **სომხური თეატრი** — 10 ნოემბერს — „რუსი ხალხი", 11 ნოემბერს — „ნამუსი". **ახუნდოვის სახელობის** — 10 ნოემბერს — „ჰაჯი ყარა". 11 ნოემბერს — „ბაჰარ". **მუსიკალური კომედიის** — 10 ნოემბერს — „აყვავებული ბაღი", 11 ნოემბერს — „არშინ-მალ-ალან". **მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი** — 10 და 11 ნოემბერს — „შურისძიება". **მოზარდ მაყურებელთა სომხური თეატრი** — 10 ნოემბერს — „ემანუელ", 11 ნოემბერს — „ბედნიერება".

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

**საქ. სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახ. კომისარიატის ომისა და შრომის ინვალიდების სამუშაოზე მოწყობის და სწავლების სამმართველო** (მაჩაბლის ქ. № 2).

განაგრძობს სამამულო ომისა და შრომის ინვალიდებისა და პენსიონერების, აგრეთვე მათი და სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახის წევრების მიღებას მსმენელებად მანქანაზე წერისა და მექანიკურ სახელოსნოს კურსებზე.

ინვალიდებისა და პენსიონერების სწავლება უფასოა, დანარჩენებისა ფასიანი.

სწავლის ვადა სამი თვე. კურსებთან ორგანიზებულია საწერი მანქანებისა, არითმომეტრებისა და ფიზიკური კაბინეტის მოწყობილობის შემკეთებელი სახელოსნო.

ომისა და შრომის ინვალიდებს — მექანიკური სახელოსნო კურსების მსმენელებს ეძლევათ სტიპენდია.

მისამართი: ნეკრასოვის ქ. № 10, (კარლ მარქსის სახელობის მოედანი).

282 სამმართველო

საქართველოს სამხედრო კომისარიატის პირადი შემადგენლობა იუწყება

**ლევან ვიქტორის-ძე მარუაშვილის**

გარდაცვალებას. სამოქ. პანაშვიდი 10/XI, 3 ს. გამოსვენება 5½ ს. კარგარეთელის ქ. № 9, დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე.

თბილისის სტალინის სახელობის რაიონის სამხედრო კომისარიატის პირადი შემადგენლობა იუწყება

**ლევან ვიქტორის-ძე მარუაშვილის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 10/XI.

1433

გეოლოგიურ კვლევა-ძიებათა მუშათა კავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტი იუწყება

**ლევან ვიქტორის-ძე მარუაშვილის**

გარდაცვალებას. გამოსვენება 10/XI, 5½ ს. კარგარეთელის ქ. № 9, დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე.

1431

საქ. სსრ ჯანსახკომის თანამშრომლები იუწყებიან ჯანსახკომის სამალარიო ჯგუფის ხელმძღვანელის ამხ. დიმიტრი ალექსანდრეს-ძე ჩხოლარის მამის

**ალექსანდრე კონსტანტინეს-ძე ჩხოლარის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. ზუგდიდში.

1432

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი იუწყება ახლად კურსდამთავრებულ ექიმ

**დავით კალისტრატეს-ძე ზარანდიას**

გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. ბაქოში 11/XI.

1429

საქ. სახკომსაბჭოსთან არსებული მთავარი საგზაო სამმართველოს მუშაკთა კოლექტივი ულრმეს მწუხარებას გამოსთქვამს

**ალექსი ნიკოლოზის-ძე საჯაიას**

გარდაცვალების გამო.

1435

თბილისის 26 კომისრის რაიონის სოც-უზრუნველყოფის განყ. თანამშრომლები იუწყებიან თანამშრომელ ვალენტინა ბოხუას დის

**ლიზიკო ბოხუას**

გარდაცვალებას. დაკრძალვა სოფ. ნოსირში.

1436

საქ. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სუბტროპიკული ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტები იუწყებიან ამავე კურსის სტუდენტ ლია ყუფარაძის მამის

**მიხეილ ანდრიას-ძე ყუფარაძის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. ქუთაისში, ბარათაშვილის ქ. № 35.

1427

სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის პოლიკლინიკის თანამშრომლები იუწყებიან ამავე პოლიკლინიკის ექიმ მარგო სანაძის ძმის

**ილია ერისტოს-ძე სანაძის**

გარდაცვალებას.

1428

საქ. შინსახკომის მილიციის სამმართველოს მუშაკთა კოლექტივი იუწყება ამხ. ტიგრან მიხეილის-ძე ბეჟანოვის დედის

**სოფიო ხითარის-ასულ ბეჟანოვის**

გარდაცვალებას.

1430

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.

უე 9830